საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბოქდ-ეული სიფცეკაა, ფაფიოებით და ჭიჩებით ბეტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 5 იანვარი. 2017 წ. №2 (8139), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ერისა და ბერის, ოპოზიციისა და ხელისუფლების ② გამაერთიანებელი

რაფაელ გლუკსმანის კავშირები პიკანტურ ქართველ ქალთან – ეკატერინე ზღულაძესთან

რაში ყრიდა სააკაშვილი მილიონებს?! ⑧

2017 წლის ძირითადი პოლიტიკური საფრთხეები

გიორგი კვირიკაშვილი სახიფათო ③ ვითარებაშია

ვანო ჩხიკვაძე

წათლილი ფანქრები ⑥

ეძღვნება რევაზ ინანიშვილს

გიგი უგულავა დანაშაულს აღიარებს, თუმცაღა, არაფერი არ გამიფლანგავსო!

თბილისის ყოფილმა მერმა გიგი უგულავამ საა-პელაციო სასამართლოში დასკვნითი სიტყვა „ყინჩად“ წარმოთქვა.

თბილსერვისის ჯგუფის ეპიზოდზე, რომელზეც პირველ ინსტანციაში განაჩენი უკვე არსებობს და უგულავას 4 წლითა და 6 თვით აქვს პატიმრობა მისჯილი, სააპელაციო სასამართლო მსჯელობს.

მისი თქმით, როდესაც ადამიანებს სახელ-მწიფო უხდის ხელფასს და პარტიულად ელა-პარაკება, ეს ძალიან ცუდია.

„თბილსერვისის ეპიზოდზე ვისაუბრებ და მასზე გავაკეთებ ფოკუსირებას. მქონდა ისეთი შთაბეჭდი-ლება, რომ ორივე მხარე რაღაც თვალსაზრისით სა-მართლებრივ ნარატივს გვთავაზობს. როდესაც ამ საქმეზე გამოძიება დაიწო, მაშინვე ვთქვი, ეს ხალხი მე დავასაქმე. როგორ წარმოგიდგენიათ ხელი გავიშ-ვირო ვიღაცისკენ, მოადგილე იქნება თუ სხვა ვინმე. ეს 700 კაცი მე დავასაქმე. არასდროს გავურბივარ პა-სუხისმგებლობას. გარდა იმისა, რომ სამართლებრი-ვი ასპექტები არსებობს, არსებობს მორალური ასპექ-ტებიც. თუ რამე არასწორი გაკეთდა, ეს ჩემი პასუხის-მგებლობაა.

განზრახვა, რომ ეს ხალხი პარტიული ყოფილიყო, არ მქონია, თუმცა სხვანაირად გამოვიდა. ადამიანს, როდე-საც სახელმწიფო უხდის ხელფასს და ის მიდის მოქალა-ქესთან და პარტიულად ელაპარაკება, ეს ძაან ცუდია. მე ვერ ავლაგმე ეს ცუდი პრაქტიკა (რაც მიზნად დავისახე გამოვიდა), მე რომ მიზანი დამესახა, ადმინისტრაციუ-ლი ორგანოს და პარტიის გამიჯვნა გამომივიდოდა, არ მოვინდომე. ეს ჩემამდეც ასე იყო და ახლაც ასე გრძელ-დება. მე ძალიან ვწუხვარ, რომ ამას არ მივაქციე ყუ-რადღება, რომ საჯარო მოხელე საჯარო მოხელე ყო-ფილიყო და პარტიული — პარტიული. ფაქტია, რომ ეს ნაწილი ჩემი საქმიანობის იყო ჩემი სუსტი რგოლი, მე ამას ვაღიარებ, რომ დამესახა მიზნად, რაღაც დონეზე მე ამას შევცვლიდი.

მე ეს პრობლემა ვერ მოვაგვარე. ნებისმიერ ადამი-ანს კარზე რომ დაუკაკუნებ და ეტყვი, მერიის თანამ-შრომელი ვარ და თან აგიტატორი ხარ, ცუდია. ეს ჩე-მი შეცდომაა და ვაღიარებ. არ მივაქციე, სამწუხაროდ, ყურადღება. ეს მთავარი პრიორიტეტი არ ყოფილა სამწუხაროდ. ამოცანა მქონდა, დამეცვა ამ რუტინუ-ლი დაკითხვებისგან ჩემი თანამშრომლები და მეო-რე ამოცანა — სწორი მიმართულებით ყოფილიყო ბრალდებები და არ ვყოფილიყავი ნაძვის ხესავით დახუნძლული. არასწორია, როდესაც სახელმწიფო გიხდის ხელფასს და თან გეუბნება, პარტიული ინ-ტერესები გაატარეო. მაგრამ ეს არაა გაფლანგვა. არ გავურბივარ მე ამ პასუხისმგებლობას, რასაც არას-დროს და ვერასდროს ვერ მივიღებ, არის გაფლანგ-ვის მუხლი...

ერისა და ბერის, ოპოზიციისა და ხელისუფლების გამაერთიანებელი

პრეზიდენტის მილოცვა პატრიარქს

„თქვენო უწმინდესობავ,

გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს!

ჩვენ ხალხს წილად ხვდა ბედნიერება ჰყოლოდა ესოდენ ბრძენი სულიერი წინამძღოლი ქვეყნის თავისუფლებისაკენ სვლის ურთულეს და დრამატულ ეპოქაში. თქვენი დაუღალავი მოღვაწეობა შინაგანი სრულქმნის ორიენტირს წარმოადგენს თქვენი მრევლისა და ყველა კეთილი ნების ადამიანისთვის.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და მხნეობას საქართველოსა და თქვენი სამწყოს საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,
გიორგი მარგველაშვილი“.

მთელი მისი მოღვაწეობა ერისა და სამშობლოს სამსახურისთვის არის მიძღვნილი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დაბადების დღეს ულოცავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი:

„უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით ვულოცავ დაბადების დღეს მის უწმინდესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს.

მთელი მისი მოღვაწეობა ერისა და სამშობლოს სამსახურისთვის არის მიძღვნილი. ის ჩვენთვის ყოველთვის იყო და არის თავმდაბლობის, სულგრძელობისა და მოთმინების, მიმტევებლობისა და მოყვასისადმი სიყვარულის მაგალითი.

ვუსურვებ მას დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ“, — ნათქვამია გიორგი კვირიკაშვილის მილოცვაში.

ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი სულიერი წინამძღოლი ჰყავს

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსსა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს დაბადების დღეს ულოცავს.

„თქვენო უწმინდესობავ, გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს! ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი სულიერი წინამძღოლი ჰყავს. თქვენი მოღვაწეობა სამაგალითოა და მისაბაძია მთელი მსოფლიოსთვის.

თქვენი ძალისხმევით გადაწყდა სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე და თავისი მასშტაბით ისტორიული პრობლემა — საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საერთაშორისო აღიარება. თქვენ ბრძანდებით ცივილიზაციათა დიალოგის იდეის ერთ-ერთი ავტორი. დიდია თქვენი ღვაწლი საქართველოს არა მხოლოდ სასულიერო, არამედ საერო ცხოვრებაშიც. უმნიშვნელოვანესი და ფასდაუდებელია თქვენი როლი საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე რთულ მომენტებში.

პირადად ჩემი და საქართველოს პარლამენტის სახელით, მინდა, გისურვოთ ჯანმრთელობა და დღეგრძელობა უფლის სადიდებლად და ჩვენი ერისა და ხალხის სამსახურში“, — ნათქვამია პარლამენტის თავმჯდომარის მილოცვაში.

დავით ბაქრაძემ პატრიარქს დაბადების დღე მიულოცა

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით ბაქრაძე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დაბადების დღეს ულოცავს:

„გულითადად და მოწიწებით ვულოცავ დაბადების დღეს უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს.

ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი სულიერი წინამძღოლი ჰყავს. უწმინდესის მთელი მოღვაწეობა, რომელმაც ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის ურთულეს წლებში გაიარა, იყო და დღესაც არის ჩვენი ერის სულიერი განწმენდის, გამთლიანების და გაძლიერებისკენ მიმართული. უწმინდესი ყოველთვის იყო მაგალითი მიმტევებლობის, სიბრძნის, დიდსულოვნებისა და თავმდაბლობის.

უღრმესი მოწიწებით, პატივისცემითა და სიხარულით ვულოცავ უწმინდესს დაბადების დღეს და ვუსურვებ, კიდევ დიდხანს არ მოკლებოდეს ჩვენს ერს და ბერს მისი სიბრძნე და სულიერი წინამძღოლობა“, — ნათქვამია ბაქრაძის მისალოცწერილში.

პროკურატურა მაგდა პაპიძის საქმის დეტალებს განმარტავს

მაგდა პაპიძის საქმესთან დაკავშირებით პროკურატურა სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, სადაც განმარტავს თუ რატომ არ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ დასაშვებად ცნობილი ბრალდებულის საჩივარი:

„ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და 2016 წლის 4 ივლისს მაგდა პაპიძე ერთხმად ცნო დამნაშავედ ოჯახური დანაშაულის, კერძოდ, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანისა და ორი პირის განზრახ მკვლელობაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ 2015 წლის 19 დეკემბერს, ღამის საათებში, ქ.თბილისში, გ.ფერაძის ქუჩა №6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის №10 ოთახში მაგდა პაპიძემ თავის არეში ეროს რამდენიმე ჩარტყმით განზრახ მოკლა მეუღლე ომარ ქაფიაშვილი და გაგუდა არასრულწლოვანი შვილი, 5 წლის თორნიკე ქაფიაშვილი, რის შემდეგაც ცხედრები ეზოში გაიტანა და შეეცადა წაეშალა დანაშაულის კვალი.

2016 წლის 6 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა სასჯელის დანიშვნის სხდომა და მოსამართლემ მაგდა პაპიძეს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ზემოაღნიშნული განაჩენი გასაჩივრებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც დაცვის მხარე ითხოვდა ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმებას, საქმის დაბრუნებას ხელახალი განხილვისათვის და დანიშნული სასჯელის გაუქმებას.

ბრალდების მხარე სააპელაციო საჩივრის შესაგებელში მიუთითებდა, რომ მაგდა პაპიძის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი ვერდიქტი ემყარებოდა სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებებს და იყო დასაბუთებული, ხოლო დანიშნული სასჯელი იყო კანონიერი, შესაბამისად არ არსებობდა ვერდიქტის გაუქმების და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დაცვის მხარის საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი“, — ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

2016 წელს საქართველოდან ღვინის ექსპორტი გაიზარდა

2016 წლის მონაცემებით, საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში ექსპორტირებულია 50 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 38%-ით აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 113.8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 16%-ით მეტია 2015 წლის მაჩვენებელზე.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია ევროკავშირის, ჩინეთის, აშშ-ის და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით:

ჩინეთში ღვინის ექსპორტის ზრდამ 2015 წელთან შედარებით შეადგინა — 98% (5 299 149 ბოთლი), უკრაინა — 70% (5 811 050), რუსეთი — 49% (27 222 076), პოლონეთი — 46% (2 329 820), კანადა — 34% (210 936), ბელარუსი — 30% (1 174 362), დიდი ბრიტანეთი — 28% (97 226), ესტონეთი — 25% (631 632), ყირგიზეთი — 24% (230 776), აშშ - 19% (294 382), ლატვია —19% (1 258 632), იაპონია — 15% (159 654), გერმანია — 6% (292 454), ჩეხეთი — 3,53% (119 648) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი (27 222 076 ბოთლი), უკრაინა (5 811 050), ჩინეთი (5 299 149), ყაზახეთი (3 393 435) და პოლონეთი (2 329 820).

ამასთან, 2016 წელს მსოფლიოს 17 ქვეყანაში ექსპორტირებულია 10 367 886 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 43%-ით აღემატება 2015 წლის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 23,12 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი — ზრდამ 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 24% შეადგინა.

ექსპორტირებულ ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებს შორის პირველ ადგილს იკავებს „ქინძმარაული“ — 7 417 333 ბოთლი, შემდეგ ხუთეულში მოდის „მუკუზანი“ — 2 568 547, „წინანდალი“ — 2 023 915, „ახაშენი“ — 923 780 და „ხვანჭკარა“ — 413 823 ბოთლი.

ავტომობილებზე ქონების გადასახადის დაწესებით ბიუჯეტში 3 მილიონი ლარი შევა

საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებით, 2017 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა ქონების გადასახადის შეღავათი ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ ავტომობილზე, თუ პირის, ოჯახის შემოსავლები აღემატება წელიწადში 40 000 ლარს.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით. კერძოდ, ფიზიკური პირი გადაიხდის საკუთრებაში არსებული ავტომობილის ღირებულების 0,05%-დან 0,2 %-მდე, თუკი მისი და მისი ოჯახის წლიური შემოსავალი 40,000-დან 100,000 ლარამდე შეადგენს და 0.8%-დან 1%-მდე, თუკი მისი და მისი ოჯახის წლიური შემოსავალი 100,000 ლარზე მეტია.

ფიზიკური პირი ქონების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 ნოემბრისა და გადასახადს იხდის არა უგვიანეს 15 ნოემბრისა. დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ შევა გასული წლის მიხედვით. აღნიშნული ცვლილებების შედეგად ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზრდება 3 მილიონი ლარით, რაც ასახულია 2017 წლის ბიუჯეტში.

2017 წლის ძირითადი პოლიტიკური საფრთხეები

გიორგი კვირიკაშვილი სახიფათო ვითარებაშია

სოსო ცისკარიშვილი: ირაკლი კობახიძე თუ მამას დაუჯერებს, ქვეყანას უკეთესად წაიყვანს

„დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ პრეზიდენტთან სოსო ცისკარიშვილთან მცირე კომენტარისთვის დავრეკე — მას 2016 წლის დადებითი და უარყოფითი პოლიტიკოსი უნდა დაესახელებინა. მოულოდნელად, ბატონმა სოსომ მასალის სრულიად ახალი ვერსია შემომთავაზა და თავად ჩამოთვალა პოლიტიკოსთა თუ პოლიტიკურ მოვლენათა ის სტატუსები, რომლებმაც წლის განმავლობაში, ექსპერტის ყურადღება მიიქცია:

დადებითი პოლიტიკოსი

პოლიტიკოსების შეფასებისას უპრიანი იქნება არა მხოლოდ 2016 წელი ავიღოთ, არამედ, 2013 წლიდან 2016 წლამდეც შევაფასოთ, რადგან ერთი და იგივე პერსონა შეიძლება ერთ წელიწადს მარგალიტივით ელავდეს და სამი წლის განმავლობაში რიგითი პოლიტიკოსი იყოს.

მთლიანობაში, 2013 წლიდან 2016 წლის ჩათვლით, გიორგი მარგველაშვილი და დავით უსუფაშვილი ჩანდნენ. 2016 წელს კი დადებითი კონტექსტის ჩემპიონი გიორგი კვირიკაშვილია. მასზე ჩვენი ქვეყნის ერთადერთი კადრებთუხუცესის (ბიძინა ივანიშვილი) ზეწოლა ამ წელს ასეთი თვალსაჩინო აღარ იყო, თუმცა „ქართული ოცნების“ შედეგი არჩევნებში, 2016 წელს, მიეწერება სწორედ ბატონ კადრებთუხუცესს (ბიძინა ივანიშვილს).

ნარუმატებელი პოლიტიკოსი

უარყოფითი კონტექსტი ჩემთვის ჰქონდა პაატა ბურჭულაძეს. ასევე გაუკვირდება, მაგრამ თანამდებობისთვის შეუფერებელი იყო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი ჟვანია. როცა აშშ-ის ყველა შტატში, სადაც ამის სურვილი გამოითქვა, ხმები ხელახლა გადათვალეს, ქალბატონი ჟვანია კი, როცა ჩვენთან ხმების გადათვლაზე იყო საუბარი, ძეგლად გადაიქცა და ისე თქვა უარი.

ყველაზე დაზარალებული პოლიტიკოსები

ამ კონტექსტში თინა ხიდაშელთან, ირაკლი ალასანიასთან და დავით უსუფაშვილთან ერთად, შეგვიძლია პაატა ბურჭულაძეც ვიგულისხმოთ. არ ვიცით სად წავიდნენ ალასანია-უსუფაშვილი, მაგრამ ზუსტად ვიცით, სად არის ბურჭულაძე, რადგან მან უკვე დამპატიჟა მაისში, ლონდონში, საოპერო სცენაზე მის მოსასმენად.

ყველაზე წარმატებული პოლიტიკოსი

ეს არის ადამიანი, რომელიც ყველაზე უფრო ხშირად საუბრობს თავის აპოლიტიკურობაზე და წარმოგვიდგება, როგორც რიგითი მოქალაქე. აზრთაგამრიგეს ვგულისხმობ, „ქართული ოცნების“ მამა-მარჩენალს ბიძინა ივანიშვილს.

უბრალოდ, ირაკლი კობახიძე

ირაკლი კობახიძეს გამარჯვებულს ნამდვილად ვერ ვუწოდებ, რადგან ის საკუთარი გამოცდილებით და შედეგიანობით ახლოს ვერ მივა მის წინამორბედთან, დავით უსუფაშვილთან. ეს უკვე საკმაოდ გულადი ნაბიჯია კობახიძის მხრიდან, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ თავად ირაკლის მიერ არის გადადგმული.

პრემიერ-მინისტრი

ივანიშვილის ცნობიერებიდან გამომდინარე, კვირიკაშვილი ყველაზე სახიფათო ვითარებაშია, რადგან ივანიშვილი არ სწყალობდა დათო კირვალიძეს, ირაკლი ალასანიას და ვაითუ, მესამე, გიორგი კვირიკაშვილი იყოს. ჩემთვის ნათელია, რომ ამ ყველაფერს საფუძვლად აქვს სურვილი, რომელიც ნაწილობრივ უკვე სრულდება, რომ დედაქალაქი მიჭირხვნოს დედასოფელმა. ეს სურვილი ჩანს კადრების კუთხითაც, ქმედებებითაც — ქვეცნობიერი არასრულყოფილების განცდიდან გამომდინარე.

უბრალოდ, ირმა ინაშვილი

ის წარმატებულ პოლიტიკოსებში უსაუთოდ უნდა იყოს, რადგან პარლამენტში, ოთხი წლის განმავლობაში, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ კბილის ტკივილი იქნება, „ქართული ოცნებისთვის“ კი — თავის ტკივილი.

„ნაციონალური მოძრაობა“

როდესაც მკაფიო გახდა, რომ ამ პოლიტიკური მონსტრის ერთიანობა წარსულს ჩაბარდა, მათი არსებობის პერსპექტივა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ორად გაიყოფოდა: ნაციონალ რადიკალებად და ნაციონალ რეალისტებად. პრაქტიკულად, ეს განსხვავებული აზრის მახასიათებელი ფრაზებია. შესაძლებელია ტერმინი „ნაციონალი“ აღარ იყოს თავშესაფარი იმ „ნაციონალებისთვის“, რომელთაც უკვე კრიტიკული შეფასებები გააჩნიათ მათი დამფუძნებლის მიმართ და არცთუ უსაფუძვლოდ. დიდი ალბათობით 20 იანვრის ყრილობა, თუკი ის შედგა, ინციდენტის გარეშე არ დასრულდება, რადგან თავად მოწვეულების რაოდენობა (7000 დელეგატი) არის მკაფიო დაპირისპირების დაანონსება. ნებისმიერ შემთხვევაში, ბატონმა სააკაშვილმა უნდა გააცნობიეროს სიბრძნე, რომ „დრონი მეფობენ და არა მეფენი“, რადგან სხვა შემთხვევაში შესაძლოა, იქამდე მივიდეს, როცა წამოსაძახებელი გაუხდება, „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

ყველაზე გასაცოდავებული პოლიტიკოსი

2016 წელს ეს სტატუსი მიიღო თამაზ მეჭიაურმა. ერთი პერიოდი მეჭიაური ივანიშვილის რუპორი იყო. მისი წამოწყებული იყო თითქოს „რესპუბლიკური პარტიის“ წინააღმდეგ კამპანია. თამაზ მეჭიაურის და ბიძინა ივანიშვილის განცხადებები იმდენად ემთხვეოდა ერთმანეთს, რომ ვეღარ გაარჩევდი.

ყველაზე კარგი 2017 წელი

2017 წელი 2016 წლის პირველ ნაწილს ვერ აჯობებს, მაგრამ მეორე ნაწილსაც თუ ვერ აჯობა, დაგვმართნია უკურნებელი სენი. თუ პრემიერად კვლავ გიორგი კვირიკაშვილი იქნება, სტაბილურობის პერსპექტივა მეტია. უნდა ვეცადოთ რომ მისი დამოუკიდებლობის ხარისხი იყოს ურყევი.

ძირითადი საფრთხე

ეს არის გაავებული სურვილი „ქართული ოცნების“ ზოგიერთი ხელმძღვანელის მხრიდან, რომ უსწრაფესად დაიწყოს ის ცვლილებები, რასაც უქადის „ქართული ოცნება“ ჩვენს კონსტიტუციას. ამიტომ უპრიანი იქნება, ბატონ კობახიძესაც გავახსენოთ, რომ „რასაც დასთესს, იმას მოიმკის“.

კობახიძის თავშესაფარი გახლავთ ის, რომ მამა მასზე გამოცდილი პოლიტიკოსია და თუ მას დაუჯერებს, ქვეყანას უკეთესად წაიყვანს.

მანა ნოდია

„გირჩის“ ოფისში მარიხუანის დათესვის ფაქტზე გამოძიება გუშინაც გრძელდებოდა

შსს იძიებს „გირჩის“ ოფისში ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის ფაქტს. როგორც „პირველ რადიოს“ უწყებაში განუცხადეს გამოძიება, რომელსაც ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებს, ამ დრომდე გრძელდება.

გასული წლის 31 დეკემბერს ახალი პოლიტიკური ცენტრის წევრებმა მოხალისეებთან ერთად, საჯაროდ, მათ მიერვე დაანონსებული, წინასწარი ინფორმაციის თანახმად, სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე დათესეს, რაზეც შსს-მ გამოძიება იმავე დღეს დაიწყო და საქმე საქართველოს სსკ-ს 265-ე მუხლით აღიძრა, რაც ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვას გულისხმობს.

„ნაციონალების ერთ-ერთი ფრთა ძალიან ხშირად დადის „ოცნების“ მთლად უფროსთან მოლაპარაკებებზე“

„მოგვდის ძალიან სერიოზული ინფორმაცია, რომ ნაციონალების ერთ-ერთი ფრთა ძალიან ხშირად დადის „ოცნების“ მთლად უფროსთან მოლაპარაკებებზე თუ კონსულტაციებზე“ — ამ განცხადებას „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე აკეთებს. **„ძალიან საინტერესო ინფორმაციები ვრცელდება იმის შესახებ, რომ ნაციონალების ერთი ფრთა, რომელსაც სააკაშვილმა ახირებულები უწოდა, „ოცნებაში“ ყველაზე უფროსთან დადის სასაუბროდ. მე არც მათი საუბარი მომისმენია და არც დეტალები ვიცი, მაგრამ ამათი საქციელი იმ ვირთხების საქციელს მაგონებს, გემიდან პირველები რომ გარბიან ხოლმე. ჩემი მხრიდან სააკაშვილის დაცვა არ გამოვა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ნაციონალების ეს ფრთა პარლამენტში მოხვდა, იმ საერთაშორისო მაწანწალას დამსახურებაა, ახლა უკრაინაში რომ ზის. ესენი კი მის ზურგს უკან ხლართავენ რაღაცებს და უკრაინაში მყოფი კაცი ლამის ჩვენი დასაცავი გახდა“,** — განაცხადა გიგლა ბარამიძემ.

2016 წელს საქართველოში 6 მილიონზე მეტი ტურისტი შემოვიდა

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გასული წლის სტატისტიკა შეაჯამა. გიორგი ჩოგოვაძის ინფორმაციით, 2016 წელს საქართველოში 6 მილიონზე მეტი ტურისტი შემოვიდა, საერთაშორისო მოგზაურობის რაოდენობა კი წინა წლებთან შედარებით 7.6 პროცენტით გაიზარდა. მისივე თქმით, მნიშვნელოვანად გაიზარდა შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან.

„აღსანიშნავია, რომ რუსეთიდან საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობამ პირველად გადააჭარბა მილიონს. პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ვიზიტების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-დეკემბრის პერიოდში გამოირჩეოდნენ ლატვია +24%, ლიტვა +16%, ჩეხეთი +15%, ბულგარეთი +12% და გერმანია +11%. განსაკუთრებული ზრდა შეინიშნება შემდეგი ქვეყნებიდან: ირანი (+485%), ინდოეთი (+199%), საუდის არაბეთი (+116%), ფილიპინები (+89%), ომანი (+75%) და ჩინეთი (+46%)“, — განაცხადა გიორგი ჩოგოვაძემ.

ᲔᲒᲠᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲗᲐᲧᲐᲠ!

2016 ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲙᲘ ᲐᲠᲪ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲗᲕᲘᲗ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲡ ᲐᲠ ᲪᲜᲝᲑᲡ, „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ“ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲗᲣ ᲬᲘᲜᲐ ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ, ᲮᲝᲚᲝ „ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ“ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ „ᲐᲮᲐᲚᲘ“ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ.

ამ მხრივ, 2017 ბევრს არაფერს გვპირდება. სავარაუდოდ, მხოლოდ გაგრძელდება ის ტრენდები, რომლებიც 2016 იშვა და განვითარდა.

პირველ რიგში ეს ეხება ლარის დევალვაციას და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილ მძიმე ვითარებას.

ეროვნული ვალუტის დევალვაციაზე ვინ აღარ გააკეთა კომენტარი, რა მოსაზრება არ გამოითქვა, „ექსპერტთა“ ლეგიონს ხომ სულ ოკუპირებული აქვს სატელევიზო სივრცე. თითქოს ყველა თანხმდება, რომ დევალვაციას ორი ძირითადი მიზეზი აქვს: 1) ბიუჯეტის გადატვირთულობა სოციალური თუ ადმინისტრაციული ხარჯებით, შესაბამისად, მთავრობის უარი გადასახადების შემცირებაზე და 2) დოლარის გამყარება, შესაბამისად, თურქულ ლირასა და რუბლის დევალვაცია გლობალური ვალუტის მიმართ.

მაგრამ რატომღაც ვერავინ ამჩნევს (ან ამჩნევენ და ღიად თქმას ერიდებიან), რომ ვერც პირველი, ვერც მეორე მიზეზი ლარს ასე ვერ „დასცემდა“ იმ უმთავრესი პირობის დაცვის შემთხვევაში, რაც მუდამ უზრუნველყოფს ვალუტის სტაბილურობას, მიუხედავად ყველა საგარეო თუ საშინაო ეკონომიკური ფაქტორისა: ეს პირობაა ეკონომიკაში ეროვნული ვალუტის ბრუნვისას ფულადი „მასის“ გაზრდაზე უარის თქმა.

ანუ, საკმარისია ეროვნულმა ბანკმა უარი თქვას ლარის დამატებითი მასის გაშვებაზე მიმოქცევაში, მით უმეტეს, გამოიყენოს სავალუტო რეზერვები ლარის მასის შესამცირებლად, რომ ეროვნული ვალუტა აუცილებლად გამყარდება! მთავრობას კი აღარ დასჭირდება ისეთი ექსტრავაგანტული (თუმცა სოციოფსიქოლოგიურად დამაზიანებელი) პროგრამების განხორციელება, როგორიცაა „იპოთეკური სესხების ლარიზაცია“ და ა.შ.

ამ მომენტს თუ დავაკვირდებით, უმალვე ნათელი ხდება: სინამდვილეში, მთავრობა მიზანმიმართულად აუფასურებს ლარს — სპეციალურად უშვებს მიმოქცევაში ლარის დამატებით მასას, რათა ეროვნული ვალუტა გარკვეულ დონეზე დაიყვანოს თურქული ლირის მიმართ.

ოღონდ, კვირიკაშვილის მთავრობა ამას აკეთებს არა „ბოროტების“, „ქვეყნის მტრობის“ ან „პუტინის აგენტობის“ გამო“, არამედ იმ მოსაზრებით, რომ თუ ლარი - თურქული ლირას, აზერბაიჯანული მანათის, რუსული რუბლის და უკრაინული გრივნას მიმართ მეტისმეტად გამყარდა, ეს გამოიწვევს საქართველოს ეკონომიკის, განსაკუთრებით ისედაც სულთმობრძავი წარმოების სრულ გაანადგურებას. მით უმეტეს იმ პირობებში, რო-

დესაც სავაჭრო სალდო კატასტროფულია. შესაბამისად, კონკურენტუნარიანი ქართული პროდუქცია საერთოდ აღარ იარსებებს. „მყარი ლარი“ განაპირობებს უმუშევრობის შემდგომ ზრდას და ვითარება ქვეყანაში კიდევ უფრო გართულდება.

სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს კვირიკაშვილის კაბინეტი, როდესაც არათუ ხელს უშლის ლარის დევალვაციას, არამედ პირიქით, ყველანაირად აძლიერებს ამ პროცესს, რათა ლარი — ლირას, მანათს, რუბლს და გრივნას „დაუახლოვოს“.

სხვაგვარად თუ ვიტყვით, ხელისუფლებას ნამდვილად შეეძლო ლარის „შეკავება“, მაგრამ აღმოჩნდა „ცუდსა და უარესს“ შორის არჩევანის წინაშე. შესაბამისად, კვირიკაშვილმა „ცუდი“ აირჩია.

მომავალ წელს აღწერილი ტენდენცია უეჭველად გაგრძელდება, მთავრობა კი კვლავ გადადგამს სიმბოლურ PR-ნაბიჯებს, შეამცირებს ხარჯებს და მიიღებს კრიტიკას იმ ადამიანთა მხრიდან, ვინც სულ ცოტა ხნის წინათ ისტერიულად „აპიარებდა“ სახელმწიფო ხარჯების შემცირების აუცილებლობას, ახლა კი ანალოგიურ ისტერიკას მართავს სახელმწიფო მოხელეთა „ქუჩაში გაყრის“ გამო, თითქოს ხარჯების შემცირება რაიმე სხვას შეიძლება ნიშნავდეს, გარდა ათეულობით ათასი უსაქმური მოხელის სამსახურებიდან „გაშვებისა“.

სხვათა შორის, იმასაც მივაქციოთ, ბოლოს და ბოლოს, კუთვნილი ყურადღება, რომ ზემოხსენებულ „იპოთეკართა“ უდიდესი ნაწილი სწორედ ეს მოხელეები არიან, ანუ მთავრობა მათ, გარკვეული აზრით, კომპენსაციას უხდის ამ ე.წ. „სესხების ლარიზაციით“.

* * *

2017 ᲬᲔᲚᲡ გაგრძელდება „საკონსტიტუციო პროცესი“: მმართველმა პარტიამ შექმნა წარმომადგენლობითი კომისია, რომელშიც სრულად „ინკორპორირდა“ ქართული პოლიტელიტა.

სინამდვილეში, თავმჯდომარის ფიგურა კი არ იყო განმსაზღვრელი და პრინციპული, არამედ სწორედ ამ კომისიის წარმომადგენლობითობა. მისი შემადგენლობა კი იმას მიანიშნებს, რომ სინამდვილეში, „ქართულ ოცნებას“ სულაც არ ეპიტნავება სერიოზული რეფორმის განხორციელება და მთელი ეს საუბრები „ძირითადი კანონის შეცვლაზე“ მარტივი ფეიკია.

რატომღაც ვერავინ ამჩნევს: საკონსტიტუციო რეფორმა ნიშნავს არა მხოლოდ პრეზიდენტის არჩევის წესს („ხალხი“ აირჩევს მას თუ პარლამენტი), არამედ მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებასა და 2020 წლისთვის მთლიანად პროპორციულ-პარტიულ სისტემაზე გადასვლას.

ის ხალხი, ვინც პირველ რეფორმას ეწინააღმდეგება, ხოლო მეორეს მხარს უჭერს, სირაქლემას პოზიციაში იმყოფება და ვერ ამჩნევს: ხელისუფლება ცდილობს ამ ორი საკითხის „დაპაკეტებას“, რაკი სულაც არ აწყობს მაჟორიტარული არჩევნების გაუქმება. პრეზიდენტის არჩევის წესი კი, სინამდვილეში, არც იმდენად არსებითია; ყოველ შემთხვევაში ბევრად ნაკლებარსებითი, ვიდრე ის, ჩატარდება თუ არა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები კვლავ შერეული სისტემით.

ამიტომ, მმართველმა გუნდმა შემდეგი ტაქტიკა აირჩია: იყოს კომისია, დახოცონ იქ ქართული „პოლიტოკრატიის“ ლიდერებმა ერთმანეთი, იკამათონ დაუსრულებლად (ფუჭად), მაინც ვერასდროს ვერაფერზე შეთანხმდებიან და ყველაფერი დარჩეს ისე, როგორც არის.

უკიდურეს შემთხვევაში, მმართველ პარტიას მუდამ შეეძლება ამ „დაპაკეტების“ გამოყენება და სხვადასხვა საკითხის ერთმანეთთან ისე „მიბმა“, რომ ოპოზიციას კარგი არჩევანი აღარ დარჩეს: ან უნდა დათანხმდეს საპრეზიდენტო არჩევნების ფაქტიურ გაუქმებას, ან შეურიგდეს მაჟორიტარული არჩევნების შენარჩუნებას.

ელემენტარული საღი აზრია საკმარისი იმის მისახვედრად, რომ არც ერთი მაჟორიტარი, რომელ პარტიასაც არ უნდა წარმოადგენდეს (არადა, თითქმის მთლიანად „ოცნებას“ წარმოადგენენ) არ მისცემს ხმას მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებას. ეს უბრალოდ გამორიცხულია. 113 ხმა კი (ანუ საკონსტიტუციო უმრავლესობა), მათ გარეშე ვერანაირად ვერ შეგროვდება.

ესე იგი, ყბადაღებული „საკონსტიტუციო რეფორმა“ ბლეფია. თანაც, საკმაოდ ოსტატურად გათამაშებული

* * *

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ **პოლიტიკაში უეჭველად გაგრძელდება „ბალანსირების“ პოლიტიკა. თუმცა მას სერიოზული საფრთხეც ემუქრება, რადგან ამერიკის ახალი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აპირებს გაურიგდეს პუტინს და ჩააბაროს მას პოსტსაბჭოური სივრცე — ბალტიის გამოკლებით!**

ამ მიზნით, უახლოეს მომავალში, მოსკოვს ეწვევა ამერიკული დიპლომატიის „მასტოდანტად“ წოდებული ჰენრი კისინჯერი, რათა მოამზადოს თვით ტრამპის ვიზიტი.

თუმცა, ტრამპი მხოლოდ ღიად იტყვის იმას, რასაც ობამა და ევროპელი ლიდერები ისედაც აკეთებდნენ: 2008 წლის ომისა და ყირიმის ანექსიის შემდეგ ისინი უხმოდ, „დე ფაქტო“ აღიარებენ ამ სივრცეს რუსეთის გავლენის სფეროდ. უბრალოდ, ტრამპი შეეცდება, ეს გარიგება პოლიტიკურად „გააფორმოს“, რათა მიხედოს (მისი აზრით) ამერიკის ნამდვილ მტერს — ჩინეთს.

რამდენად მოახერხებს ამას ამერიკის ახალი პრეზიდენტი, სხვა საქმეა. ყოველ შემთხვევაში, წინა ადმინისტრაციას თავი ნამდვილად არ მოუკლავს საქართველოს ან უკრაინის მხარდაჭერით და მხოლოდ სახის შენარჩუნებას ცდილობდა.

ამ ვითარებაში, 2017 წელს, საქართველოს ხელისუფლება და სისტემური ოპოზიცია განაგრძობენ წინა წლებში გამომუშავებულ თამაშს, როდესაც თითქოს „ყოველდღე ელიან“ იმას, რისი იმედიც, სინამდვილეში არა აქვთ.

სამაგიეროდ, ოპოზიცია ვერ მიიღებს „სათქმელს“ ხელისუფლების წინააღმდეგ, თითქოს იგი „პროდასავლურ კურსს ღალატობს“. არადა, „ოცნებისთვის“ სწორედ ესაა მთავარი.

* * *

ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ **მნიშვნელოვანი პროცესი, რომელმაც შესაძლოა (ესეც სათუოა), დასრულებული სახე მიიღოს ახალ წელს, იქნება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაშლა.**

თანაპარტიელებმა დაპირისპირების ისეთი მაღალი „თამასა“ ასწიეს უკვე, რომ მისი დაწევა ნამდვილად გაუჭირდებათ. გამორიცხული არ არის, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა.

ყველაფერი დამოკიდებულია მიხეილ სააკაშვილზე, თუმცა ექსპრეზიდენტი ნამდვილად არ ამჟღავნებს კომპრომისზე წასვლის სურვილს.

თუ ეს პარტია დაიშალა იმ ფორმით, რომ „ენმ“ მისი საპარლამენტო წარმომადგენლობის უმრავლესობამ დატოვა, შეიძლება ითქვას, ისტორია საქართველოში „გაჩერდება“ და ბიძინა ივანიშვილის განცხადებები „20-წლიანი მმართველობის“ შესახებ სულაც აღარ მოგვეჩვენება არარეალურად.

ᲒᲔᲚᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ

...ᲔᲡ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲡ!

ᲐᲮᲐᲚᲘ **წლიდან უძრავი ქონების ფასი მხოლოდ ლარში დადგინდა და ყიდვა-გაყიდვაც მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში უნდა მოხდეს. რას გამოიწვევს ეს, ბაზარზე ჯერჯერობით დადგენილი არ არის, მაგრამ ხელისუფლება მხოლოდ დადებით მომენტებზე საუბრობს.**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში ცვლილების პროექტი დეველოპერებს ავალდებულებს, უძრავი ქონების რეალიზაციისას და რეკლამირებისას ფასი გამოხატული იყოს მხოლოდ ლარში. საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ამბობდა, რომ ლარში ფასდადება სხვა ვალუტაში ფასის გამოცხადების აკრძალვას არ გულისხმობდა, მაგრამ კანონის პროექტში მხოლოდ ლარია მითითებული.

„საქართველოს ტერიტორიაზე ქონების რეალიზაციის ან მომსახურების გაწევისას, ასევე ქონების რეალიზაციის ან მომსახურების გაწევის შეთავაზების ან რეკლამირებისას ფასი გამოხატული უნდა იყოს მხოლოდ ლარით“ , — ნათქვამია კანონპროექტში, რომლის ინიციატორი საქართველოს მთავრობაა.

კანონპროექტში საუბარია ასევე იპოთეკური სესხის საპროცენტო განაკვეთებზეც. კერძოდ, განმარტებით ბარათში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის ჩათვლით (გარდა იპოთეკის სანოტარო წესით დამოწმებასა და იპოთეკის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯებისა), არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ყოველთვიურად გამოქვეყნებული კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების წინა კალენდარული წლის საშუალო არითმეტიკულის 2.5-მაგი ოდენობის მეთორმეტედს, რაც ძალაშია ყოველი წლის 1 მარტიდან. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ილია წულაიას ინფორმაციით, მშენებლები მთავრობის მიერ გამოცხადებულ ლარიზაციის პროექტს მხარს უჭერენ. მოსალოდნელ ცვლილებას ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მხრიდანაც აქვს მხარდაჭერა.

— პირადად მაქვს ბიზნეს გამოცდილება და ამიტომ კანონპროექტების განხილვის დროს არაერთ კოლეგასთან მქონდა საუბარი. ლარიზაციას მიესალმება ყველა მშენებელი, უბრალოდ, საუბარია, რომ ბანკები წამოვიდნენ გრძელვადიან ურთიერთობაზე.

მქონდა შეხვედრა ბანკების ხელმძღვანელებთანაც და მათი პოზიციაც ვიცი. ისინიც მიესალმებიან ამ პროცესს, რადგან ეროვნული ბანკი მაქსიმალურად უწყობს ხელს ლარიზაციას. საფრთხე, რომ ამით ეკონომიკური ზრდა ან საბაზრო ბრუნვა შემცირდეს, არ არსებობს. ყველა, ვისთანაც კი ბოლო პერიოდში ამ საკითხთან დაკავშირებით მისაუბრია, ცვლილებებს დადებითად ეკიდება, — აღნიშნა დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე ილია წულაიამ.

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ გაგუამ ხაზი გაუსვა უძრავი ქონების ბიზნესში მოსალოდნელ დადებით მომენტებს. მისი თქმით, თანამოქალაქეებს შეეძლებათ ფასების შედარება როგორც კონკურენტის ფასებთან, ისე საკუთარ შემოსავალთან. მთავარი მიზანია, რომ საქონლის რეალიზაციის ან მომსახურების რეკლამირებისას დაცული იყოს თითოეული მომხმარებლის ინტერესი.

„კურსის ცვალებადობა პრობლემებს უქმნის უძრავი ქონების ბიზნესს. თუ ლარი უფასურდება, უძრავი ქონება იაფდება და პირიქით. ამ სექტორში ხშირია ფასის მერყეობა, გაყიდვის შემცირება და სხვა პრობლემები. მეორე მხრივ, თუკი უძრავი ქონების ფასი ლარით იქნება განსაზღვრული, ეს დაეხმარება მყიდველს, უკეთ დაგეგმოს მისი შესყიდვა. აღნიშნული გადაწყვეტილება, ასევე, ხელს შეუწყობს ლარის დეპოზიტების ზრდას“, — განაცხადა ნიკოლოზ გაგუამ და დასძინა, რომ ეროვნულ ვალუტაში მომსახურების ან სარეალიზაციო ფასის ლარში გამოხატვა მომხმარებელს პროგნოზის საშუალებას გაუზრდის, ხოლო ბიზნესისთვის რისკს შეამცირებს.

ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

◎ ფრთხილად!

მეტი პროდუქტი – მოწამვლის მეტი ალბათობა

ამ დღეებში სურსათის ეროვნული სააგენტო ქვეყნის მასშტაბით აგრარული ბაზრების სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას ამოწმებს. აგრარული ბაზრებით დაინტერესდა არასამთავრობო სექტორიც. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე მადონა კოიძე ამბობს, რომ ბაზრებში ხორცის რეალიზაციის პირობები საგანგაშოა და შესაძლოა, სხვადასხვა დაავადება გამოიწვიოს.

აგრარული ბაზრების შემოწმების შესახებ ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს. სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ანა გემაზაშვილი ამბობს, რომ ბაზრობები სისტემატურად მოწმდება, უბრალოდ, ახლა დღესასწაულის გამო უფრო მეტად არიან მობილიზებულნი:

„წელს, ჩვენი ინსპექტირების შედეგად, კრიტიკული შეუსაბამობა, რომელიც სურსათის უვნებლობასთან შეუთავსებადი იქნებოდა, არ დაფიქსირებულა. თუმცა, რა თქმა უნდა, მითითებები ყოველთვის გვაქვს, ეს მუდმივი პროცესია. მუდმივად მივდივართ და ვცდილობთ, რომ არათუ ბაზარმა, ნებისმიერმა ბიზნესოპერატორმა დახვეწოს თავისი საქმიანობა და კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მიუახლოვოს. მაგრამ წელს არ გვქონია ისეთი კრიტიკული შეუსაბამობა, რომ რომელიმე ბაზარი დაგვეკეტა“.

აგრარულ ბაზრებს, თავის მხრივ, ამოწმებს საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის ხელმძღვანელი მადონა კოიძე. მან თბილისიდან დაიწყო და ოზურგეთის ბაზრამდე მიაღწია, შეამოწმა გზად შემხვედრი ყველა ქალაქის ბაზარი. მისი თქმით, ხორცი ბევრგან ანტისანიტარიულ პირობებში იყიდება, განსაკუთრებით ეს ეხება ფარშსა და თევზს.

„ჩამოვედი გურიამდე, მაინტერესებდა რა მდგომარეობაა აგრარულ ბაზრებში. მერწმუნეთ, არანაირი სხვაობა – ისეთივე უწესრიგობაა, როგორიც გარევაჭრობაზე. პროდუქციის რეალიზება ანტისანიტარიულ პირობებში ხდება. იყიდება ფარში, რომლის ვარგისიანობის ვადა გაურკვეველია. მომხმარებელი არ არის დაცული“.

კოიძე ამბობს, რომ მუდმივად ურჩევდნენ, მომხარებელს გარევაჭრობის ნაცვლად ბაზრობისთვის მიემართათ, მით უფრო წელს, როდესაც 1 იანვრიდან ახალი რეგლამენტი ამოქმედდა და ბაზრობისა და ბიზნესოპერატორების ვალდებულებები კიდევ უფრო მკაცრად განისაზღვრა. ეს რეგლამენტი უნდა ყოფილიყო გარანტი იმისა, რომ პროდუქცია წესების დაცვით გაიყიდებოდა, მაგრამ, მადონა კოიძის თქმით, ბევრგან ბაზრობა გარევაჭრობისგან არაფრით განსხვავდება:

„ძირითადად თევზთან დაკავშირებით არის პრობლემები. თევზი იყიდება ძალიან უწესრიგოდ და შესაბამისი პირობების დაცვის გარეშე. ყველა პროდუქტს სჭირდება შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმი, შესაბამისი სანიტარიული ნორმების დაცვა, რაც, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში არ სრულდება“.

მისივე თქმით, მომხმარებელი განსაკუთრებით ფრთხილად და ყურადღებით უნდა იყოს პროდუქციის შეძენისას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რამე საეჭვო შენიშნა, შეუძლია დაუკავშირდეს როგორც სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ასევე არასამთავრობო სექტორს.

თეა თოფურია

მკვლელი ჰაერი თბილისის თავზე...

თბილისში ჰაერის დაბინძურების იმდენად მაღალი მაჩვენებელია, რომ საზოგადოების ყველა ფენა შეშფოთებულია. ინფორმაცია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების შესახებ ხშირად ვრცელდება სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით. პარალელურად გარემოს ეროვნული სააგენტო, თბილისის ჰაერის მონიტორინგის ყოველდღიურ შედეგებს აქვეყნებს.

ჰაერის მონიტორინგის ავტომატური სადგურები, რომლებიც იაპონიის მთავრობის ფინანსური დახმარებით თბილისში დამონტაჟდა, 24-საათიანი დაკვირვების რეჟიმში მუშაობს.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, ჰაერის დაბინძურების ეფექტები იყოფა ორ ნაწილად: ეს არის მოკლევადიანი მოქმედების შედეგად გამოწვეული ეფექტები და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოქმედი ეფექტები. ხანმოკლე ეფექტის შემთხვევაში ადამიანს უჭირს სუნთქვა, აქვს ხველა, სურდო, იმატებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება, რესპირატორული დაავადებები. ხანგრძლივი მოქმედების შედეგად პროცესი ქრონიკული ხასიათისაა და ხდება რესპირატორული დაავადებებით მიმართვა ჯანდაცვის დაწესებულებებში. ხშირია ფილტვებში ფიზიოლოგიური ფუნქციის მოშლა და განსაკუთრებით, რაც ყველაზე სავალალოა, ორსული ქალბატონების შემთხვევაში ბავშვის მუცლად ყოფნის დროს ნაყოფის ზრდის შეზღუდვა.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას, როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ისე თბილისში, რამდენიმე მიზეზი იწვევს. ეს არის სამრეწველო სექტორი, ენერგოსექტორი, ავტოტრანსპორტი, ასევე ქალაქდაგეგმარების პრინციპების დარღვევა და გამწვანებული ტერიტორიების ნაკლებობა, განსაკუთრებით თბილისში.

„ჩვენ სტაციონარული დამაბინძურებელი საწარმოები არა გვაქვს, რომლებიც მასობრივად აბინძურებენ ჰაერს გამონაბოლქვებით, ჰაერის დაბინძურების წილი ავტოტრანსპორტზე მოდის. ამაზე დამოკიდებულია ადამიანის ჯანმრთელობაც, თუ რა დროის განმავლობაში, რა ხანგრძლივობით, რა კონცენტრაციით მოქმედებს ეს ნივთიერებები ჯანმრთელობაზე“, – აცხადებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გარემოს ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსი ნანა გაბრიაძე.

ჯერჯერობით მთავრობა დედაქალაქში არსებულ უმძიმეს ეკოლოგიურ მდგომარეობასთან ბრძოლას ავტომობილებზე და ნავთობპროდუქტებზე აქციზის გაზრდით იწყებს. სავარაუდო შედეგები დაახლოებით 1 წლის თავზე იქნება ცნობილი.

მანამდე კი დადგენილია ყველაზე დაბინძურებული ადგილები: თბილისში – მეტროსადგურ ისანთან, მელიქიშვილის ქუჩაზე, პირველ სკოლასთან, „მზიურის“ პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე და რუსთაველის გამზირზე; ქუთაისში – პარლამენტის შენობასთან, ზესტაფონში – აღმაშენებლის ქუჩაზე, გორში – „ლუკოილის“ გაზგასამართ სადგურთან.

ბექა დანელია

◎ ყაირათიანი ხარჯვა

ეკონომიკის შიდა რეზერვების „გამოსაცარიელებელი“ ხვრელები

განვითარების გზად ნებისმიერ სახელმწიფოს გამუდმებით რაღაც პირველი რიგის გადასაჭრელი პრობლემა წარმოეშვება ხოლმე, რომლის აღმოუფხვრელად ერისთვის დიდი წარმატების მიღწევა, არსებითად, შეუძლებელია. გარკვეული ხნის განმავლობაში ზოგიერთი მათგანის გადაწყვეტა ხერხდება და ქვეყანაც წინ დგამს ნაბიჯს, ზოგი კი წლების მანძილზე მოუშუშებელ იარად რჩება ხოლმე და სახელმწიფოს, მთელ ერს მძიმე ლოდად ჰკიდია, ყველაფერში უკან სწევს. საქართველოს უპირველესი და უმწვავესი ასეთი პრობლემა ისაა, რომ 2008 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ რუსეთის მიერ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მხარდაჭერილი სეპარატისტული რეჟიმების გამარჯვების გამო ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს იურისდიქციის მიღმა აღმოჩნდა და დღესდღეობით, ფაქტობრივად, ანექსირებულია.

მაგრამ ეს გარკვეულწილად ამ უმწვავესი საკითხის ერთი მხარეა. მეორე კი ის გახლავთ, რომ ახლა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აშკარად არასაკმარისი ტემპის, მრავალი სხვა არახელსაყრელი გარემოების პირობებში, სეპარატისტული კონფლიქტების გამო აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურა თუ უწყება-ორგანიზაცია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯით არსებობს და, როგორც კავკასიური სახლის ცოტა ხნის წინათ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად გაირკვა, მას ყოველწლიურად 88,5 მილიონ ლარზე მეტი უჯდება. არადა, სპეციალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ არც ესაა სრული მონაცემები და ეს ხარჯი კიდევ უფრო მეტია.

– იმ შემთხვევაში, თუ ყურადღებას მხოლოდ კონფლიქტებზე მომუშავე ინსტიტუციების ხარჯზე გავამახვილებთ, ჩვენი კვლევის თანახმად, ეს თანხა დაახლოებით 90 მილიონ ლარს შეადგენს, – ამბობს „კავკასიური სახლის“ აღმასრულებელი დირექტორი **გიორგი კანაშვილი.** – თან გასათვალისწინებელია, რომ ამ თანხაში შედის მხოლოდ პირდაპირ კონფლიქტებზე ფოკუსირებული ინსტიტუციების მუშაობა და არა სხვა უწყებები, რომლებიც ასევე მუშაობენ კონფლიქტებზე.

მისი აზრით, საკმაოდ ძნელია იმის თქმა, რაციონალურად იხარჯება თუ არა ფული, თუმცა კი ისიცაა, რომ ზოგიერთ უწყებაში შტატები უსაშველოდაა გაბერილი, თუმცა, როგორც ყველამ კარგად ვიცით და აკი ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს არ არის მხოლოდ კონფლიქტებთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებათა პრობლემა, ანალოგიური ვითარება სხვაგანაცაა. ამდენად, ბატონ კანაშვილის აზრით, საიმისოდ, რომ ეს ხარჯი შემცირდეს და საბიუჯეტო სახსრები დაიზოგოს, საჭიროა თავად ამ სტრუქტურების რიცხოვნობის შემცირება.

იგი ასევე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ბიუჯეტი საგრძნობლადაა გაზრდილი და გამოყოფილი სახსრებიდან მნიშვნელოვანი ნაწილი დევნილი მოსახლეობის საცხოვრისით უზრუნველყოფაზე მიიმართება, პროცესი გეგმაზომიერად მიმდინარეობს და მისი ბოლომდე მისაყვანად კიდევ რამდენიმე წელია საჭირო. თანაც დევნილთა საცხოვრისით სრულად უზრუნველყოფა მათზე ზრუნვის დიდი საქმიანობის მხოლოდ პირველი ეტაპია, რომელსაც ასეთივე დასრულებული სახით უნდა მოყვეს მათი დასაქმების პრობლემების გადაჭრა და სხვა.

სხვა თემაა სახსრების რაციონალური განაწილება, რაშიც ერთგვარი ადმინისტრაციული „დომხალია“, როცა ერთი და იმავე საქმით აშკარად საჭიროზე მეტი ხალხია დაკავებული. ამიტომაც მას მიაჩნია, რომ ეს კადრები გამოსათავისუფლებელია, სახელმწიფომ კი უნდა შეიმუშაოს გარკვეული სოციალური პროგრამა, რომელიც ამ ხალხის დასაქმების საკითხი იქნება მოქცეული.

ეს, მართალია, მეტად რთული საკითხია და კვლევაში აზერბაიჯანის, მოლდოვის, უკრაინის, კვიპროსისა და სხვა მაგალითებია განხილული, რომლებიც ანალოგიური პრობლემების გადაჭრის აუცილებლობის წინაშე დგანან. გარკვეული სტრუქტურები იქაც შიდა კონფლიქტების პრობლემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ, მაგრამ ეს ინსტიტუციები იქ ცალკე გამოყოფილი არ არის და პროფილურ სამინისტროთა სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ, რაც სავსებით გამართლებულია. მათი მუშაობის შედეგებზე საზოგადოებამ არა ავტონომიურობის ხარისხით, არამედ რეალური ეფექტიანობით უნდა იმსჯელოს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ხელისუფლების ოპოზიციური ძალები, ასევე მომხრეთა გარკვეული ნაწილი დიდი ხანია, იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ქვეყანაში ადმინისტრაციული ხარჯის შემცირების რესურსი საკმარისზე მაღალია და საკითხის გადაჭრა, უპირველეს ყოვლისა, სამინისტროთა რიცხოვნობაზე უნდა გადიოდეს. რამდენად სასიკეთოა ეს გზა, ამაზე, ცხადია, თავისი აზრი, დარგების სპეციალისტებმა უნდა გამოთქვან. ოღონდ ერთი ეგაა, რომ ვერდიქტის გამოტანისას მათ არა რომელიმე უწყების ან, გნებავთ, პროფესიის პრესტიჟი, არამედ ხალხისა და სახელმწიფოს სარგებელი უნდა დააყენონ.

ამდენად, შიდა რეზერვების დაზოგვის მხრივ, ასე ვთქვათ, მათ შიგნითაც სივრცე რომ საკმაოდაა, ეს, ვფიქრობთ, ეჭვს არ იწვევს.

ოთარ ტურაბელიძე

საგულდაგულოდ ჩაუჯდებოდა, მუხლებზე გაზეთს ან მიტკლის ნაჭერს გადაიფენდა, მეორე, დაბალ სკამზე მთელ ბღუჯა ფანქრებს დაალაგებდა — ფანქარი საწერად წვეტიანი და მაგარი უნდა ყოფილიყო, სახატავად — რბილი, ხელს რომ მიჰყოლოდა, მინიატიურული ჩანახატებით დაემშვენებინა თავისი ხელნაწერები.

ფანქრის თლას, ვაზის შესაყელი პირბასრი დანით შეუდგებოდა.

თლიდა... თლიდა... ფაქიზად, სიფრთხილით, რუდუნებით... ფანქარს ქვემოდან საჩვენებელ თითს დაუყოლებდა, დანისპირსაც თანდათან წაუცერავებდა, ზედმეტი ძალა რომ არ დაეყენებინა და წვერი არ წაეტეხა.

წაუთლიდა ჯერ ერთს, მერე მეორეს... მოკლედ რამდენიც ჰქონდა შეძენილი, ისე ლამაზად, რომ მარტო იმათი ნახვა ღირდა — რომელი სახარატო დაზგა მოახერხებდა ფანქრებისთვის ეგრე თანაბრად ძაბრივით თავის წაწვრილებას.

საქმეს რომ მოათავებდა, ნაწილს საწერი მაგიდის უჯრაში შეინახავდა, რამდენიმეს კი ხალათის გულის ჯიბეში ჩაილაგებდა ჰილზებივით თუ ჩოხის მასრებივით.

ფანქრებს, დედაქალაქში, უფრო ხშირად ოპერის გადმოღმა, წიგნების მაღაზია „ჩირაღდანის“ საკანცელარიო განყოფილებაში ყიდულობდა ხოლმე. აქ არჩევანი მეტი იყო, თანაც ერთი ცხვირდაჭორფლილი, წითურთმიანი გოგო მუშაობდა, რაღაცნაირი, თან შეუხედავი, თან სანდომიანი, ყველასგან განსხვავებული, იმისკენაც მიუხაროდა.

შეიძლება რომელიმე გმირს ამგვანებდა, ანდა აპირებდა რამე დაეწერა ამ გულჩათხრობილ არსებაზე, მწერლის დანახვაზე კეთილი ღიმილი ლოყებს რომ ჩაუჩვრეტდა ხოლმე.

გოგომ უკვე იცოდა, რომელი ფაბრიკის რომელი ფანქარი უნდა შეეთავაზებინა, თვითონ ურჩევდა და ამ პროცესში ზოგჯერ ისე ამოხედავდა, თითქოს ღრმა ჭის წყლის კამკამა ზედაპირს სხივი დაეცა და სინათლე აირეკლაო — თქვენი ახალი მოთხრობა წავიკითხე „მნათობში“, მორცხვად ჩაილაპარაკებდა და ესეც უხერხულად აიწურებოდა.

მერეო? — ძლივს ამოღერღავდა ხმაათრთოლებული.

როგორც ყოველთვისაო.

ე. ი. მომეწონაო.

განსაკუთრებით აი ისაო, ისიცაო... ჩამოჰყვებოდა და...

ეხლა ის მითხარი, რა არ მოგეწონაო, მწერალს ესეც უნდა აინტერესებდესო.

ეგეთებს თქვენთან რა უნდაო, შეიკრავდა წარბს, გული მარტო იმაზე მწყდებაა, ამბები მალე რომ მთავრდებაო...

— ისე, მინდა იცოდეთ, ამ ფანქრებს ლოცვას გამოვაყოლებ ხოლმე, სულ დიდხანს და ასე ლამაზად რომ წეროთ.

— კალიგრაფია მართლაც არა მაქვს ცუდი, — ჩაეღიმებოდა მწერალს.

— არა, მე შინაარსს ვგულისხმობ! — თავს გადააქნევდა გოგო.

გამოვიდოდა მაღაზიიდან გახალისებული, გულში სითბოჩაღვრილი.

მწერალს ბედნიერებისთვის სულ ცოტა ჰყოფნის და ხშირად ეს ცოტაც როგორ ენანებათო, გაიფიქრებდა და ნელი ნაბიჯით დაუყვებოდა ხალხით აზიმზიმებულ პროსპექტს.

გააჩნია წელიწადის დროს — ქუჩაზე ან მზე იღვენთებოდა, ან წვიმდა, ფოთოლცვენა შარიშურობდა, ანდა ფიფქავდა, მშვიდად, ხვავრიელად. მოდიოდნენ ადამიანები სხვადასხვა საფიქრალით, საზრუნავით, ქვაფენილიან აღმართზე ჩამორბოდნენ ზარის ხმაზე სკოლიდან გამოშლილი ბავშვები, ჟივჟივებდნენ ბეღურებით დახუნძლული ჭადრების ტოტები და ამ ყველაფერს იტევდა ერთი ადამიანის გული, რომელსაც ამდენ ხალხში, აქაიქა, კელაპტრებივით გამომკრთალი მწერლის თაყვანისმცემლები ან იღლიაში საქაღალდეამოჩრილი კოლეგები თუ შეამჩნევდნენ, ხელს აუწევდნენ, მოიკითხავდნენ.

ცოტა ხანში პერონზე სცემდა ბოლთას.

ნავთლუღის სადგურიდან დაძრული, ნელი, ზოზინა მატარებელი ზუსტად ზარმაცი კაცის ბუნებისა იყო, თუმცა მწერალს სულაც არ სწყინდა ის დინჯი ჩანჩალი — მიჯდებოდა თავისთვის ფანჯარასთან, სკამის კუთხეში და თვალყურს ადევნებდა ჩამსვლელ-ამომსვლელს, უსმენდა სკამებზე ჩარიგებულ მოსაუბრეებს, ნაქარი ხილივით კრეფდა ახალ-ახალ ამბებს, დიალოგებს, იშვიათ, უცხო სიტყვებს. მისი ყურადღებიანი თვალი იმახსოვრებდა ყველაფერს, რაც სამომავლოდ სამაგიდო რვეულების „საშენ მასალად“ გამოადგებოდა.

იქნებ ასეთი რამეც მოესმინა:

— აგე, ბიჭო, ჩოკინა გამოჩნდა. ნამდვილი კახეთი დაიწყო, საზღვარზე გადმოვედით.

— მესაზღვრესავით კი დამდგარა, ცალი ყურიც ეგრე აქვს აცქვეტილი თითქოს „ჩესტი“ აგვიღო.

—კიდევ კარგი საბუთები არ შეგვიმოწმა და ჩანთები არ გინახა, თორემ კონტრაბანდას ხომ ჩამოგართმევდა.

— აბა, აბა, ძაან გადავრჩით! — გაიცინებდნენ, გაილაღებდნენ, ახორხოცდებოდნენ.

მატარებელი ფეხწამოკრულივით წაიფორხილებდა, მიაწყდებოდნენ ვაგონები ერთმანეთს — ვიღაც მუტრუკი „ავტომუხრუჭს“ ჩამოჰკრავდა, თავის სახლთან დაახრჭიალებდა ბუფერებს, ჯერ ბაზრიდან წამოღებულ ცარიელ ვედროებს ჩაყრიდა, მერე თვითონაც ჩაჰყვებოდა.

უკმაყოფილო მგზავრები დაადევნებდნენ გინების კორიანტელს, მაგრამ საზღვარს აქეთ, საკახეთოში იყვნენ და გინებითა და მუქარით ვიღას გააკვირვებდნენ.

შინ მისული ცოტას შეისვენებდა, გამოიცვლიდა ტანსაცმელს, მოირგებდა სატალახო, მაღალყელიან მძიმე ბათინკებს, მერე აბგას ამოალაგებდა, ჩატოვებდა ერთ წიგნაკს, ფანქრებს, ჩაალაგებდა შოთი პურის ნატეხს, რამდენიმე თავ მწვანე ხახვს და ნივრის ორიოდე კბილს... აბგას ისევ მხარიღლივ გადაიკიდებდა და ტყისკენ მიმავალ საურმე გზას დაადგებოდა.

გზა რომ მორჩებოდა, ჩირგვიან აღმართზე, ალაგ-ალაგ ჩახრამულ ბილიკებს მიუყვებოდა...

მიდიოდა, მიდიოდა, მანქანების, მატარებლების, ადამიანთა და სოფლის ნახირის ხმაურს გამორიდებული. თანდათან მშვიდდებოდა, წყნარდებოდა მიდამოც, ჯაგნარებს, შინდიანსა და მაყვლიანებს მაღალი ხეები ენაცვლებოდა, ყოვლისმომცველ დუმილში მხოლოდ ღობემძვრალა ჩიტი თუ დაიწრიპინებდა სადმე, ფეხდადგმული კენჭი თუ გაიხრჭიალებდა ან ხმელი წკირი დაიტკაცუნებდა, ფეხქვეშ ხმაურით დაიფშვნებოდა.

მერე თანდათან მომრავლდებოდნენ ფრინველები, ახმაურდებოდნენ, თითქოს მის გამოჩენას მოელოდნენ, აედევნებოდნენ, ბუჩქიდან ბუჩქზე, ტოტიდან ტოტზე ხტუნვა-ხტუნვით მიჰყვებოდნენ ჯაფარები, სკვინჩები, ბეღურები, ნარჩიტები, ბოლოქანქარები, კვირიონები, ფუღუროებიდან უთვალთვალებდნენ ბრძენი ბუები, თუმცა ხმა ესმოდათ მხოლოდ, დღის სინათლეზე რას დაინახავდნენ თავიანთი თვალების პატრონები. კენწეროებს მაღლა ფრანებივით ირეოდნენ ფრთაგაშლილი ბორები... გნიასებდნენ ფრთოსნები, ჭიკჭიკებდნენ, ჭყიოდნენ, ჩხაოდნენ, ყრანტალებდნენ და ესეც ღიმილმორეული უსმენდა, უსმენდა... ყველა მათგანი ხომ კარგა ხანია მისი მოთხრობების ფურცლებზე იყო ჩაბუდებული და ეგონა ახლა ვიღაცამ ხელი აუქშია, წამოაფრინა.

ხეებშორის დაცემულ, საჭიდაოსავით მომრგვალებულ პატარა ველზე შეისვენებდა, გახედავდა თვალსაწიერზე, რუხ კლდეებშორის დაკლაკნილი ბილიკის ბოლოში, ცაში გამოკიდულ ეკლესიას, მოიხდიდა მზისგან მოსაჩრდილებელ, ფართოფარფლებიან ქუდს და პირჯვარს გარდაისახავდა.

რას და ვის შეავედრებდა უფალს, ხომ გასაგებია და ცხადზე უცხადესი.

ისევ გაუყვებოდა ორხიდიანი მანქაჯაჭვის პერანგივით მერქანზე ხელისგულს დაუსვამდა. მერე მლოცველივით დაუჩოქებდა ფოთლიდან ფოთოლზე დაცურებულ წყაროს ბრჭყვიალა წვეთებით გაპიპინებულ ხელისგულისოდენა საგუბარს, დაგოლვილ ყელს გაიგრილებდა და მუხის ძირში ჩამომჯდარი, თვალმოხუჭული გაირინდებოდა.



გრაფიკის ავტორი რევაზ ინანიშვილი

ნებით ნაბუღრავებ თიხნარს, წახრილი მუხები, რცხილები, ნეკერჩხლები ჩრდილებს და შეგრილებულ ჰაერს შეაგებებდნენ.

როცა იქნებოდა მიაღწევდა ნაცნობ, ბებერ ძელქვამდე, ლაფაროსავით წამოხურული ტოტებით იქვე, საგუბარში ნეშოჩაფენილ წყაროს ზემოდან რომ გადაჰფარებოდა.

საგუბარში ორიოდე მუჭა წყალი თუ გროვდებოდა, ერთი კაცი თუ გაისვენებდა პირს და მერე უნდა დალოდებოდა ხელახლა როდის შეივსებოდა.

შედგებოდა, აქ უნდა „დაეცა ბანაკი“, მოათვალიერებდა იქაურობას, ჯერ ძელქვას მოიკითხავდა, მჭახე ბოლისფერ

აქ ყველაფერი ახლობელი და ნაცნობი იყო. მიწაზე დაყრდნობილი ხელისგულებით გრძნობდა გამხმარ, გამოფშუტულ, შარშანდელ და მის წინანდელ ფოთლის ხაოს, გარეულ ღორებს გადარჩენილ გამხმარ რკოებს და მათ პაწაწკინტელა, ფიალებივით მოხდილ ქუდებს, თითებზე გრძნობდა მოფუსფუსე ჭიანჭველების, ხოჭოების ნამცეცა საცეცებს... ყველა უყვარდა, დაფაჩუნებაზე სმენადქცეული მაჩვებიც და სოროებში განაბული, ვარდისფერცხვირა სინდიოფალებიც, აქაიქა მიწოლილი ბებერი კუნძები და ახალტანაყრილი რცხილისა და მუხის კორომები — ცულიანი კაცის ჩავლისას შიში რომ შეათრთოლებდათ ხოლმე...

თვალს იტაცებდა გარეშემო წითლად დაღუებული ასკილი და მწიფობაში შესასვლელად გამზადებული შინდი, გზადაგზა სერპანტინივით მოფენილი შავი და წითელი კუნელი... ახლა ველური ზღმარტლი, სანადირო დან დაბრუნებულ პაპა-ბიძებს ჯიბეებით რომ მოჰქონდათ ბავშვებთან, ბუერას ამოფარებულ, გადაბერებულ ნიყვებს თუ დაფუტუროებულ ხის გადანაჭრებზე ჩაყვითლებულ სოკოებს ხომ ნუღარ იტყვით.

შუქნიშანივით შემონათებული, დაკუნწულებული ძახველი მთლად ტყის მშვენება იყო...

ყველაფერს იტევდა მწერლის მგრძნობიარე გული, ყველას საფიქრალში იხედებოდა... მოკლედ, აქაც თითქმის იგივე ხდებოდა რაც ადამიანთა ყოფაში, აქაურობაც ცოცხლობდა, კუთავდა, იბრძოდა არსებობა-გადარჩენისთვის, მაგრამ სოფელ-ქალაქისგან განსხვავებით მიწა და ტყე აქ უფრო ბუნებრივი, ლმობიერი, ნამდვილი მფარველი და ალალი იყო თავის ნაშიერთა მიმართ — შობდა, ზრდიდა, აპურებდა, უფრთხილდებოდა, იფარავდა ავი თვალისაგან...

ხილული თუ უხილავი ფერადი ფანქრები აქ უნდა დახარჯულიყვნენ ჯადოქარი ბუნების სამსახურში, ჩამოლეულიყვნენ სანთლებივით თითებში და მერე ეს სასწაული, წერის ნიჭით მომადლებულ ადამიანს ისე გადაეტანა ფურცელზე, რომ წითურთმიან გოგოს წიგნიდან ეგრძნო ტყის ხილივით ჯიბეებით მირთმეული სიტყვების სურნელი...

მწერალი იმთავითვე კეთილი, მზრუნველი „პაპა“, ყველას ამყოფინებდა, „სამაგიდო რვეულებიდან“, კიმპალ-კიმპალ ამოკრეფილ სიკეთის მარცვლებს...

უყვარდა ადამიანი, სიძულვილით კალამს არ დაამძიმებდა.

ნამდვილ მკითხველს ახსოვს მისი „მთვრალი ხევსური“.

„არამ სისხლ მიაქვსო!“ — ზოგი ახლაც შეჰღრინოს ჭანჭყობში გაშოტილმა, მძინარე, ქინქლადახვეულმა ხევსურმა, ჩინელი ან ინდოელი ინვესტორი რომ წამოაგდებს, აქაურობა ჩემიაო და ხმაწაწვრილებული ფეხებს დაუბაკუნებს...

ეჰ, „არამ“ კი არა, სუფთა, კამკამა, საჯიშე სისხლი მიაქვთ... მიაქვთ... და ქარი ამოდ აჟღარუნებს ბეთლემის კარზე დაკიდულ ოჟა ჯურხაის ფარ-ხმალს...

პირველად უნივერსიტეტში ვნახე.

ახლგაზრდა მწერალთა წრის წევრებითა და ლიტერატურის მოყვარულებით სავსე აუდიტორიაში, მუხრან მაჭავარიანთან და მერაბ ელიოზიშვილთან ერთად მოვიდა.

ერთმა ლექსები წაიკითხა, მათ შორის ისიც, „ნაკუწ-ნაკუწ კი არა," და ლამის დაინგრა აუდიტორია.

მეორემ ბრძანა, „ბებერი მეზურნეები" ეგეთები იყვნენ და ეგრე გადავიტანე ფურცელზეო. რო არ გადამეტანა, დაიკარგებოდნენ, დაჰკარგავდა მკითხველიო და რათა, ადამიანებო, რათ უნდა დაკარგულიყვნენ თბილები, ტკბილები, თავიანთი მოფუსფუსე ცოლებითა, გორის ციხის ძველ უბანშიო...

ახლაც დავცხეთ ტაში.

გამობრძანდა ესეც, გაიხსენა თავისი სტუდენტობის წლები. ნიკო კეცხოველს ემადლიერებოდა, ის რომ არა, შეიძლება უნივერსიტეტი არც დამემთავრებინა და ეგეთ არც კალამი ამეღოო... ალბათ თავმდაბლობით თქვა, თორემ, როგორ წარმოვიდგენთ, კალამი რომ არ აეღო (უფრო სწორად, ფანქარი)?

მთავარი, რაც დამამახსოვრდა:

მიყვარს რუსული პროზაო, ჩამოთვალა მისთვის ფასეული მწერლები და მგონი იური ნაგიბინზე თუ ვიქტორ ასტაფიევზე ბრძანა, დიდ პატივს ვცემო, მაგრამ ერთი პასაჟის შემდეგ გული გამიცივდაო, როცა თავის მოთხრობაში ბავშვის თხელი, სიფრიფანა ყურები „პელმენს" შეადარაო... მწერალს დიდი სიფრთხილე მართებს, კალამი რომ არ გაექცეს, ბავშვის ყურები პელმენად არ მოეჩვენოს და, მით უმეტეს, ეს მკრეხელობა წიგნში არ შეიტანოსო.

თან მხრებაწურული ბოდიშობდა, რა ვქნაო, მე ეგეთი ვარ, მე ეგრე ვფიქრობ და სხვამ თავისი საქმისა თვითონ იცოდესო.

სწორედ ეგეთი გვიყვარდა.

მახსოვს, მოგვიანებით, მწერალთა კავშირში, განხილვაზე, ერთ ახალგაზრდა მწერალს შეუქო მოთხრობები, მაგრამ ბოლოს ესეც უთხრა, ცოტა მომეჩვენა, რომ შენს გმირებს ზოგჯერ მომეტებული სისასტიკით ექცევი და თუ ჩემს რჩევას მიიღებ...

ალმური მოედო იმ ახალგაზრდა მწერალს, გაუნაწყენდა, სახეზეც დაეტყო და ლამის უკადრებელიც შეჰკადრა.

გაშალა გაოცებულმა და გულნატკენმა ხელები, შვილო და ძმაო, მეეო, ალალათაო, დანარჩენი როგორც გენებოსო...

დიდ, გაბუტულ ბეღურას ჰგავდა, სიმართლეს რომ არ უჯერებენ...

გავიდა ხანი.

ამღვრეულმა დრომ დაუნდობლობის, სიძულვილის, დაპირისპირების ღორღი და შლამი მოიყოლა.

მოხდა ის, რასაც ვერაფრით წარმოიდგენდა მწერალი – გაიხლიჩა ერი და ქვეყანა.

მოიწყინეს წაუთლელმა ფანქრებმა.

დღეს აღარც ისეთი რუსთაველია, მაშინ რომ იყო, აღარც „ჩირაღდანი" – რაღაც მოდურმა ოფისებმა დაიპყრეს ჩვენი სათაყვანო და თავმოსაწონებელი პროსპექტი, წიგნს ფულმა აჯობა. ფულის წამლეკავმა ყვითელ-მწვანე ნიაღვარმა გაიტაცა, იმსხვერპლა ის ლიტერატურის მოყვარული წითელთმიანი გოგოც. ალბათ, უსამსახუროდ დარჩენილი, „ახალმა ტალღამ" ამოაგდო თევზივით ნაპირზე, მწერლის ერთი გმირივით, სადღაც „დაჰღიმის ტროტუარის პირას ამობზინულ ბალახებს, მაგრამ იმწამსვე თითქოს რაღაც სამწუხარო ამბავი გაახსენდება და ადრინდებულად მოენაცრება სახე".

და აღარც მწერალია.

ნამდვილი შემოქმედი ხომ სულ ბრძოლაშია და ადრე თუ გვიან ამ ბრძოლაში იღუპება, როგორც მეკავშირე, წინა ხაზზე, სანგრების თავზე რომ გადარბის და დაწყვეტილი კომუნიკაციის აღდგენას ცდილობს.

მწერალიც დაეცა – ასე მგონია, უფალმა არ გაიმეტა, ოთხმოცდათერთმეტის დეკემბრის ძმათამკვლელი ომით გულშეძრული, გაუკუღმართების გზაზე დამდგარი ძვეყნის საცქერლად, სატანჯველად და თავისთან წაიყვანა.

ვანო ჩხიკვაძე

ჩვენი მირონცხებული ხელმწიფენი

ბუზმარი

ქართლის მეფე 412-430 წლებში. ირანისადმი ქართლის ვასალობის გამტკიცების მიზნით ირანის შაჰს იეზდიგერდ I მისთვის შვილი უთხოვია მძევლად. ამასვე სთხოვდა ბიზანტიის კეისარი თეოდოსი II (408-450), ბუზმარს ერთმორწმუნე ბიზანტიის ორიენტაცია უმჯობინებია და თავისი ერთადერთი ძე მურვანოსი (შემდეგში პეტრე იბერად ცნობილი დიდი ფილოსოფოსი) 421-424 წლების შუა ხანებში კონსტანტინეპოლს გაუგზავნია.



ვახტანგ გორგასალი
გ. გეგეჭკორის ნახატი

არჩილ I

ქართლის მეფე ბუზმარის შემდგომ, 430 წლიდან. სახელგანთქმული პეტრე იბერის პაპის (დედის მხრიდან) ბაკურ მეფის ძმა, ენერგიულად იბრძოდა ირანის მორჩილებიდან თავისი ქვეყნის გამოხსნისთვის. არჩილი გამეფებისას უკვე ღრმად მოხუცი იყო და დიდხანს აღარ უცოცხლია. მიეწერება სტეფანწმინდის ეკლესიის აშენება მცხეთაში.

მირდატ (მითრიდატე) VI

არჩილის ძე, გამეფდა მამის სიკვდილის შემდეგ.

ქართლის მეფე V საუკუნის 30-40-იან წლებში. მეფე ფარსმან IV-ის ძმა.„ქართლის ცხოვრება" ახასიათებს როგორც გულად მეომარს, რომელიც ნაკლებად ზრუნავდა ეკლესიებსა და საღვთო საქმეებზე და უფრო მეტად გარეშე მტრებთან – ბერძნებსა და სპარსელებთან ომით იყო გართული. მან სპარსელებს შეუწყვიტა ხარკის მიცემა, ხოლო ბერძენთაგან (ბიზანტიელთაგან) კლარჯეთის გამოხსნას ცდილობდა. სპარსელთა დამსჯელმა ლაშქარმა გარდაბანთან დაამარცხა მირდატი, დაატყვევეს და თან წაიყვანეს. გარდაიცვალა ტყვეობაში.

მირდატ მეფე

მამა ვახტანგ გორგასლისა. „ქართლის ცხოვრება" მირდატ VI-ეს მოიხსენიებს, როგორც ქრისტიანული ეკლესიის ერთგულ მსახურს.

ვახტანგ I გორგასალი

მირდატის ძე, დიდი ქართველი ხელმწიფე, დაიბადა 442 წ. 7 წლისა მამით დაობლდა. აღზარდეს დედამ, ქვრივმა დედოფალმა საგდუხტმა და სპასპეტმა საურმაგმა. 16 წლისამ ჩრდილოეთში ილაშქრა, პირადად შეება და დახოცა ხაზართა და ოსთა ბელადები, დაიმორჩილა ხაზარეთი, ოვსეთი, ყივჩაღეთი, პაჭანიკეები, ჯიქეთი, ჯიქეთიდან აფხაზეთსა და ეგრისში გადმოვიდა, ეგრისიდან გააძევა ბიზანტიელები. მის ჩრდილოურ ლაშქრობებს 3 წელი დასჭირდა.

ქართლის მეფე იყო 457 წლიდან 502 წლამდე (გამეფდა 15 წლისა, იმეფა 47 წ.) „გორგასალი" („მგლისთავა") იმიტომ შერქმევია, რომ მუზარადზე მგელი ჰქონია გამოსახული. იბრძოდა ირანელთა უღლიდან ქართლის გათავისუფლებისათვის ქვეყნის ცენტრალიზაციისთვის, შეუზღუდველი სამეფო ხელისუფლების შექმნისთვის.

ვახტანგს ძლიერი ოპოზიცია ჰყავდა ქართლის ფეოდალებში, რომელთაც მხარს უჭერდნენ ირანელები. პირველი იერიში ეკლესიაზე მიიტანა, ჩაატარა მისი რეორგანიზაცია. შეცვალა ქართლის ეკლესიის მეთაური და „ეპისკოპოსთა თავის" ნაცვლად კათალიკოსობა დააწესა. შექმნა ახალი საეპისკოპოსოები, შეცვალა ზოგი ძველი ეპისკოპოსი (ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება სამეფო დომენს – კახეთ-კუხეთ-ჰერეთს მიაქცია), ეკლესიიდან განდევნა თავისი მოწინააღმდეგენი. ეკლესია უფრო მეტად დაუქვემდებარა სამეფო ხელისუფლებას. ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად ვახტანგმა დიდი საქალაქო მშენებლობა ჩაატარა. ააშენა ახალი და ხელახლა გააგრა ძველი ციხეები. განსაკუთრებით დიდი მშენებლობა გასწია უჯარმასა და თბილისში. თბილისში აპირებდა თავისი დედაქალაქის გადმოტანას, რაც მისმა შვილმა დაჩიმ განახორციელა, თუმცა ვახტანგი თბილისის დამაარსებლად ითვლება. ვახტანგმა ხელთ იგდო გადასასვლელები კავკასიონზე, რომლებიც მანამდე სპარსელებს ეკავათ და დაუკავშირდა ჩრდილოეთ კავკასიელ ჰუნებს. 482 წელს ვახტანგმა აჯანყება დაიწყო ირანელთა წინააღმდეგ. ქართლის აჯანყებას მხარი დაუჭირა სომხეთმა. ვახტანგმა, უპირველს ყოვლისა, მოაკვლევინა ქართლის ოპოზიციონერთა მეთაური ვარსქენ პიტიახში. აჯანყების პირველ წელს შეეძლო ირანელთა განდევნა ქართლიდან, მაგრამ მან ვერ მიიღო შეპირებული დახმარება ჰუნებისგან. არც ბიზანტიელები დაეხმარნენ, ამას შინაური მტრების აშლილობაც დაემატა და როცა ქართლში მოვიდა ირანის სარდალი მიჰრანი, ვახტანგმა უკან დაიხია ქართლისა და სომხეთის საზღვრებისკენ. მთებში მას შეუერთდნენ აჯანყებული სომხები. მათი გაერთიანებული ლაშქარი მტერს შეებრძოლა ჭარმანიანის ველზე. გაიმარჯვეს ირანელებმა. მაგრამ ამ გამარჯვებით ბოლომდე ვერ ისარგებლეს. ვახტანგი შემდეგშიც მედგრად იბრძოდა მათ წინააღმდეგ. ამ ბრძოლას მან სიცოცხლე შესწირა – ბრძოლაში დაიჭრა მოღალატის ნატყორცნი ისრით.

ვახტანგმა განაახლა და გაამყარა მცხეთისა და არმაზის სიმაგრენი, ძველი ხის სვეტიცხოვლის ტაძარი დიდ ქვის სიონად გადააკეთა. ააშენა უჯარმა, მეტეხი.... დაკრძალეს მისგან აგებულ სვეტიცხოველში.

დაჩი, ანუ დარჩილი

ვახტანგ გორგასლის ვაჟი სპარსეთის შაჰ ჰორმიზდ III-ის ასულ ბალენდეხტისგან (დედოფალი მშობიარობას გადაჰყვა) იზრდებოდა უჯარმაში და ცნობილია „უჯარმელის" ზედწოდებით. ქართლის მეფე 502-515 წლებში. იღვწოდა სპარსელთაგან აოხრებული ქართლის აღდგენისათვის. მან „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეფოდ" – გამოცხადდა საქართველოს სატახტოდ, მცხეთა კი დარჩა საკათალიკოსო ცენტრად. დაჩიმ სცადა მთელ ქართველთა გაქრისტიანება და საამისოდ ისინი მცხეთასა და ტფილისშიც მოიწვია. მაგრამ ვერაფერს გახდა: წარმართებად მოსული მთიელები, წარმართებადვე გაბრუნდნენ მთებში. დაჩის დროს ტფილისში მოსახლეობა მომრავლდა. აშენდა მარიამწმინდის ეკლესია (ანჩისხატი).

ბაკურ II

„მოქცევაი ქართლისაის" მიხედვით ქართლის 38-ე მეფე, ძე დაჩი მეფისა, გამეფდა მამის სიკვდილის (დაახლოებით 515 წ.) შემდეგ, მაგრამ გამეფების წელსვე გარდაიცვალა.

გურგენი

ქართლის მეფე (515-523 წ.წ.), ეგრისის მეფე წათე I-ის თანამედროვე. გურგენის დროს დიდგვაროვანი აზნაურები მეფის ხელისუფლების შევიწროებისთვის ბრძოლას იწყებენ. ამას ზედ დაერთო სპარსელთა მიმძლავრება. 523 წელს გურგენის მეთაურობით ქართლი აჯანყდა სპარსეთის წინააღმდეგ. სპარსელები ქართლს შეესივნენ. გურგენი თავისი ოჯახითა და სეფეწულებით ეგრისს გადავიდა. წათემ დიდი პატივით მიიღო იგი. ეგრისიდან გურგენი წათესთან ერთად კონსტანტინეპოლს ჩავიდა. იმპერატორი იუსტინე დიდი პატივით შეხვდა ქართველ მეფეებს. მათ შორის კავშირი და მეგობრობა გამოცხადდა. გურგენი სიკვდილამდე კონსტანტინეპოლს დარჩა.

ძამანარსე

ქართლის მეფე გურგენის შემდეგ (523-535წ.წ.) სპარსთა მომძლავრებისგან შეწუხებული ძამანარსე, მეუღლე დედოფლისა და დარბაზის ერის თანხლებით კონსტანტინეპოლს ეწვია და კეისარ იუსტინიანეს კავშირი და მეგობრობა სთხოვა, კეისარი დიდი სიხარულით შეხვდა ამ თხოვნას და დიდძალი ძღვენითაც გამოისტუმრა სტუმრები. მაგრამ ბიზანტიასთან სიახლოვემ ვერ უშველა ძამანარსეს. სპარსელებმა ქართლში მეფობა გააუქმეს და „მარზპანობა" შემოიღეს.

ქართლის ერისმთავარნი

გუარამი

ქართლის პირველი ერისმთავარი სპარსთაგან მეფობის გაუქმების შემდგომ VI საუკუნის ბოლოს. „კაცი მორწმუნე და მშენებელი ეკლესიათა". მან დაიწყო მცხეთის ჯვრის მშენებლობა (დაასრულა ადარნასემ). კურაპალატი. გვარად იყო ბაგრატიონი, სპერის ქართული ოჯახიდან, ქართველ ბაგრატიონთა დინასტიის მამამთავარი.

სტეფანოზ I

გუარამის ძე, ქართლის ერისმთავარი მამის შემდეგ, VII საუკუნის პირველ მეოთხედში. 626 წელს ქართლს ბიზანტიელები შემოესივნენ ჰერაკლე კეისრის სარდლობით და ხაზარები ჯიბღუ ხაკანის წინამძღოლობით. ტფილისის კედელთან გამართულ სასტიკ ბრძოლაში სტეფანოზი გმირულად დაიღუპა. მომდევნო წელს ტფილისი ხაზარებმა აიღეს და აიკლეს.

შეკრიბა
ალეკო ასლანიშვილმა.



სტეფანოზ I
მცხეთის ჯვრის ბარელიეფი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №236, 241.

ახალი წელი საოკუპაციო ხაზთან

მორიგი 365-ის დასასრული

2016 **წელს** აფხაზებთან და ოსებთან სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით საქართველო ისევე ასრულებს, როგორც წინა წლებს: არანაირი ხელშესახები შედეგით, იქიდან გამომდინარე, რომ რუსული პოლიტიკა ამ მიმართულებით არ იცვლება, რაც, თავის მხრივ, შეუძლებელს ხდის პროგრესის პროგრესირებას. რაც შეეხება კონფლიქტის ზონაში არსებულ ვითარებას: ის, რაც ბორდერიზაციას, ადამიანთა უკანონო დაკავებას, ანუ რუსული პოლიტიკის ნაწილს ეხება, იგივე რჩება, საქართველოს ხელისუფლებაზე დამოკიდებულ კომპონენტთან დაკავშირებით კი მცირეოდენი პროგრესი გვაქვს. ეს უკავშირდება როგორც სასმელი და სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის თვალსაზრისით არსებულ ვითარებას, ასევე გაზიფიცირების საკითხებს.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი აცხადებს: **„წელს, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე ყველა სოფელი გაზიფიცირებულია. ესაა დიდი შეღავათი ოჯახებისთვის. ყველა სტუდენტი, 2016-2017 წლებში, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს სასწავლებელში, ესაა სულ 800 სტუდენტი, დაფინანსდება სახელმწიფოსგან და ვიცი, რომ მათი ოჯახებისთვის ესაა მნიშვნელოვანი შეღავათი. წელს ასევე ბევრი პროექტი განხორციელდა საირიგაციო, სასმელი წყლის მიმართულებით. ჩვენი სტრატეგია გახლავთ ის, რომ მთავრობა გახდეს უფრო ეფექტური, უფრო მოქნილი და უფრო კარგად შეასრულოს ის ამოცანები, რაც აკისრია ყველა სტრუქტურას“.**

„ამერიკის ხმასთან“ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლების ატოცის, ჭვრინისის, კოდასა და აბანოს გამგებელი **მარიამ გულისაშვილი** ამბობს: **„გათბობისთვის 200-ლარიანი დახმარებები ისევ არის. ამჟამად ჩვენი სოფლების მაცხოვრებლების უმეტესი ნაწილი გათბობისთვის გაზს იყენებს. რაც შეეხება მოსახლეობის წინაშე მდგარ უმთავრეს პრობლემას, ესაა უმუშევრობა. სხვა მხრივ, ქარელის სოფლებში მდგომარეობა ინფრასტრუქტურის მიხედვით — გზა, წყალი, დენი — შემიძლია გითხრათ, რომ მოწესრიგებულია.“**

ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობაში პოზიტიურ ცვლილებას ელოდებიან ასევე მას შემდეგ, რაც საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაცია, როგორც პროცესი უკვე შედგება 2017 წელს. თუმცა რუსეთი, როგორც ამ პროცესებისთვის ხელშემშლელი ფაქტორი, კვლავაც აქტიურ და აგრესიულ მოთამაშედ რჩება.

ლაშა ტულუში, ლიბერალური აკადემიის ხელმძღვანელი, ქართველებისა და ოსების, ქართველებისა და აფხაზების ინტეგრაციის შესაძლებლობების შესახებ „ამერიკის ხმასთან“ ამბობს: **„არაერთი მოქალაქე, აფხაზი თუ ოსი, ჩამოდის თბილისში თუ სხვა ქალაქებში და სარგებლობენ გარკვეული მომსახურებებით. ეს, ძირითადად, ჯანდაცვის სფეროს ეხება. ასევე იღებენ განათლებას. მასშტაბებზე და სტატისტიკაზე ჩემთვის რთულია საუბარი, თუმცა ვიცი, რომ ინტერესი იზრდება, რაც კარგია. უფრო დიდი მასშტაბის პროცესებზე საუბარი რთული იმიტომაა, რომ ის დაკავშირებულია ოკუპაციასთან და რუსეთის ფაქტორთან. ჩვენ რომ მოვილაპარაკოთ უფრო სერიოზულ ურთიერთობებზე აფხაზებთან და ოსებთან, გარკვეული გადაწყვეტილებები იქნება მისაღები და არა მხოლოდ თბილისის მხრიდან, არამედ სხვა მხრიდანაც. მაგრამ იქ, სადაცაა ტანკი, სადაცაა რუსული პოლიტიკური ინტერესი, არაა თავისუფალი განვითარების შესაძლებლობები“.**

ზარდიაანთკარი კონფლიქტის ზონის სოფელია, სადაც ქართველმა სამართალდამცავებმა შესვლა მხოლოდ 2012 წელს შეძლეს. ამასობაში კი ამ სოფლის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა გორის საბავშვო ბაღებს აფარებდა თავს. მათი ნაწილი დღემდე აქ აგრძელებს ცხოვრებას იქიდან გამომდინარე, რომ ადგილებზე მათი სახლების რეაბილიტაცია დღემდე არ განხორციელდა.

„ამერიკის ხმა“ ზარდიაანთკარის მაცხოვრებელს, გორის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში ჩასახლებულ **ცისანა თაზიაშვილს** ესაუბრა: **„გვეუბნებიან — წყალი გაქვთ, გაზი გაქვთ, სინათლე გაქვთო. კი გვაქვს, მადლობლები ვართ, რომ გვაქვს, მაგრამ ახლა წყალი ერთი თვეა, გაყინულია და ოსური მოსახლეობის მხრიდან მოგვაქვს. მათ ვანათის არხიდან აქვთ სასმელი წყალი, რომელიც ბუნებრივად მოდის და არ იყინება. ჩვენთან კიდევ ჭაბურღილიდან ამოდის და შემდეგ კოშკზე შემოდგმულ ავზში გროვდება. იქ წყალი ერთი თვის წინათ რომ გაიყინა, ალბათ, მთელი ზამთარი, მარტამდე ასე იქნება“.**

„Radio Voice of America“ (აშშ)

◎ მოულოდნელობისგან თვალები გაგიფართოვდებათ!

რაფაელ გლუკსმანის კავშირები პიკანტურ ქართველ ქალთან — ეკატერინე ზღულაძესთან

ფრანგულ **გამოცემა „Mediapart“-ის სტატიაში საუბარია ცნობილი ფრანგ ფილოსოფოს ანდრე გლუკსმანსა და მისი ვაჟის — რაფაელის შესახებ, მათ მიზნებზე, შემოქმედებაზე და პირადი ცხოვრების ზოგიერთ დეტალზე, განსაკუთრებით კი მეუღლის — ეკატერინე ზღულაძის თაობაზე.**

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ანდრე გლუკსმანი, რომელიც 2015 წლის ნოემბერში გარდაიცვალა, ახალგაზრდობაში მაოისტი, ანუ ჩინეთის კომუნისტი ლიდერის მაო ძედუნის იდეების მიმდევარი იყო, შემდეგ კი პროამერიკული ნეოკონსერვატორი და ნიკოლა სარკოზის მხარდამჭერი გახდა. შვილის გზა მამის გზისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება: რაფაელი თავის თავს ჟურნალისტს და რეჟისორ-დოკუმენტალისტს უწოდებს, თან არცთუ უსაფუძვლოდ — მან უკვე მოასწრო რამდენიმე წიგნისა და ფილმის შექმნა, მათ შორის ფილმებისა „ყველა მოჰკალით!“ (რუანდაში მომხდარი გენოციდის თაობაზე) და „ნარინჯოვანი 2004“ (უკრაინის ე.წ. „ნარინჯოვანი რევოლუციის“ თაობაზე).

„აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რაფაელ გლუკსმანი ორივე ფეხით ჩაეფლო პოლიტიკაში და არა როგორც ავტორი, არამედ როგორც (უცხო სახელმწიფოს პოლიტიკური ლიდერის) საიდუმლო თუ ოფიციალური „მრჩეველი“. რაფაელის შემთხვევაში პოლიტიკა სწრაფად გადაეხლართა პირად ცხოვრებას, რაც დასტურდება მისი კავშირებით ახალგაზრდა პიკანტურ ქართველ ქალთან — ეკატერინე ზღულაძესთან, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო და ზოგჯერ მინისტრის მოვალეობასაც ასრულებდა (2005-2012 წლებში) პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს. პრეზიდენტი, თავის მხრივ, რაფაელ გლუკსმანის პირველი წიგნის თანაავტორია („მე თქვენთან თავისუფლებაზე ვსაუბრობ, მიხეილ სააკაშვილთან ერთად“, პარიზი, 2008 წელი).

ეკატერინე ზღულაძე იმ წლებში ქართული პოლიციის რეფორმას და „დესოვეტიზაციას“ ახორციელებდა, რომლის დროსაც მან ძველი 20 ათასი „საეჭვო თანამშრომელი“ ახლებით შეცვალა. გარდა ამისა, მან თავისი წვლილი შეიტანა შინაგან საქმეთა უწყების გაფართოებაში — ერთმანეთს შეურწყა პოლიცია და სპეცსამსახურები, ყოფილი „კაგებეს“ სახით. ეკატერინე ზღულაძე (საქართველოს მთავრობაში) ერთგვარი სიმბოლო იყო — „მაღალი ქუსლები ნალებიანი ჩექმების“ ნაცვლად.

2014 წლის გაზაფხულზე უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ქვეყანაში რადიკალური რეფორმების გატარება გადაწყვიტა და ამ საქმის ხელმძღვანელობა საქართველოს ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ შეკრებილ ყოფილი ქართველი ჩინოვნიკების გუნდს დაავალა. მათ რიცხვში ეკატერინე ზღულაძეც იყო. 2014 წლის დეკემბერში მან უკრაინის მოქალაქეობა მიიღო და რამდენიმე დღეში ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედაც დაინიშნა.

რაფაელ გლუკსმანმა თავისი მომავალი მეუღლე ეკატერინე ზღულაძე 2009 წელს გაიცნო (ეკატერინე მასზე ერთი წლით უფროსია). 2012 წლისათვის მათ უკვე ჰყავდათ სამი წლის ვაჟი ალექსანდრე — საფრანგეთისა და საქართველოს მოქალაქე. თუმცა, ამის მიუხედავად, ოჯახის სიმტკიცე საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა: ფრანგული ყვითელი პრესა ამას წინათ წერდა, რომ რაფაელ გლუკსმანი ვიღაც „ჟურნალისტ ქალთან“ — ლეა სალამესთან დადისო.

ასე იყო თუ ისე, ოჯახს ფული ჭირდებოდა... ჰოდა, ანდრე გლუკსმანი კომპანია Noe Conseil-ის მმართველი გახდა, რომელიც „საზოგადოებასთან ურთიერთობასა“ და ლობისტობაში სპეციალდებოდა. ფინანსური უზრუნველყოფა — წელიწადში 100 ათასი ევრო. აი, რას წერდა გაზეთი Le Monde 2011 წლის 21 მარტს: „34 წლის რაფაელ გლუკსმანს, ანდრეს ვაჟს, ეროვნულ ავჯანყებებში თავისი წვლილი შეაქვს — საქართველოს შემდეგ იგი ახლა უკრაინის ლიდერებს უწევს კონსულტაციებს, რევოლუცია მისი საყვარელი სფეროა... მართალია, ფრანგული ანდაზის თანახმად, „მრჩევლები არ იხდიან“, მაგრამ მათ კარგად აფინანსებენ ისინი, ვისაც რჩევებს აძლევენ — ამ მგრძნობიარე სფეროში ხომ დუმილის დაცვა აუცილებელია.

როგორც იმ ხანებში საიტი Intelligence Online აღნიშნავდა, „საქართველოს პრეზიდენტის ბრძოლა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან ბიძინა ივანიშვილთან ლობისტებისთვის პირდაპირ ოქროს ძარღვი აღმოჩნდა. ამ საკითხში საქართველოს მთავრობა რამდენიმე კომპანიას ეყრდნობა, მათ შორის რაფაელ გლუკსმანის კომპანიასაც“.

მკითხველისათვის რომ გასაგები იყოს, თუ რამდენ ფულს იღებენ ასეთ საქმეებში ლობისტები, აღვნიშნავთ, რომ ამერიკულმა კომპანიებმა Prime Policy Group-მა და Gephardt Group Government Affairs-მა 2012 წელს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისაგან რამდენიმე თვის მუშაობისათვის შესაბამისად 150 ათასი და 180 ათასი დოლარი მიიღეს“...

რობერ შოდანსონი,
„Mediapart“ (საფრანგეთი)

ლიტვა რუსეთს ზურაბ მაისურაძეს არ გადასცემს!

საქართველოს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი დირექტორის ზურაბ მაისურაძის გადაცემაზე ლიტვის გენერალურმა პროკურატურამ რუსეთს უარი განუცხადა. „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, მაისურაძის საქმეში ლიტვა პოლიტიკურ მოტივებს ხედავს: **„ზურაბ მაისურაძის საქმეზე შეკრებილი დოკუმენტაციის შეფასების შედეგად დადგინდა, რომ თხოვნა პირის გადაცემის შესახებ წარმოდგენილი იყო პოლიტიკური მოტივებით და რუსეთის მიერ განხორციელებული საგარეო პოლიტიკით საქართველოსთან მიმართებაში“,** — აღნიშნულია ლიტვის პროკურატურის განცხადებაში.

ლიტვურმა მხარემ რუსეთისგან მაისურაძის ექსტრადიციის შესახებ თხოვნა გასული კვირის ბოლოს მიიღო. ლიტვის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ქვეყნის მოქალაქე ან უცხოელი შესაძლებელია არ გადაეცეს სხვა სახელმწიფოს, თუკი პირი იდევნება პოლიტიკური მოტივებით.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მოქალაქე ზურაბ მაისურაძე 2 დეკემბერს, ვილნიუსის აეროპორტში ინტერპოლის ორდერის საფუძველზე დააკავეს. მაისურაძე ვილნიუსში კიევიდან ჩაფრინდა. ორდერი კი რუსეთის ფედერაციის მოთხოვნით გაიცა. მაისურაძეზე საერთაშორისო ძებნა ტერორიზმის ბრალდებით იყო გამოცხადებული.

ვილნიუსის საოლქო სასამართლომ 4 დეკემბერს მაისურაძის 10 დღით დაკავების შესახებ პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა. 7 დეკემბერს კი ის გირაოს გადახდის შედეგად გაათავისუფლეს. მაშინ ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ არ ფლობდნენ მონაცემებს მაისურაძის ტერორისტულ დაჯგუფებებთან კავშირის შესახებ.

რუსთაველი მარადიულია!..

მადლს მარილი აღარ მოაყარეს

პატარა ქვეყანა დიდი სატკივარია, ხელები რომ გაშალო, თავ-ბოლოს მისწვდები, ასეთ ქვეყანას სხეულივით უნდა გრძნობდე და როცა შენს მიწაზე უცხო მოძალადე დადის, ისე უნდა გტკიოდეს, თითქოს შენს სხეულზე დადიოდეს და შენს სხეულს თელავდეს.

ვ.ჯემალ ქარჩხაძე



ეს პატარა ქვეყანა, ღმერთმა ქნას, კიდევ არ დაგვიპატარავდეს, თორემ გაზრდას და გაფართოებას ვინღა ჩივის... მაგრამ ქართველობას სხვა სატკივარიც რომ გვჭირს, ეგაა დიდი უბედურება.

სათქმელს პირდაპირ ვიტყვი: გენიოსი რუსთაველით მსოფლიოში წარმოჩენილ საქართველოში პოეტის საიუბილეო წელს (850-ე წლისთავი), ქვეყნის ყველა რეგიონში რა აღარ აღინიშნა, ზარ-ზეიმით და ძვირფასი ღონისძიებებით... ეს, საქვეყნო ღირებულების სახელი და თარიღი კი, სადღაც მივკარგეთ თუ სპეციალურად მიჩქმალა ჩვენმა მთავრობამ, ვერაფერი გაგვიგია!

თავის ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში ბრძანა და დაწერა მწერალმა და პუბლიცისტმა ვანო ჩხიკვაძემ: „ვეფხისტყაოსანმა“ და საქართველომ ერთმანეთი გადაარჩინეს. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში დღემდე არ დავეჭვებულვარ — დიდი წიგნები ინახავენ, პატრონობენ ერსა და ქვეყანასო“ — მისივე ეს აზრები გამეორდა მწერლისეული პუბლიცისტური ნაწერების მეორე გამოცემაში.

ჰოდა, ბატონი ვანო და მისთანები რომ არ იტყოდნენ რუსთაველის საიუბილეო თარიღის აღნიშვნაზე უარს, ეს ხომ ცხადია. ისიც ცხადია, ვინ იტყოდა უარს... ისინი, რომელთაც, მაგალითად: ქალაქ რუსთავში სწორედ რუსთაველის საიუბილეო დღეებში გვირგვინებითა და ფერადი ლენტებით შეამკეს ალიევის ძეგლი მისსავე სახელობის შესანიშნავად მოვლილ პარკში, დიდი შოთას ძეგლს კი, მთელი ამ ხნის განმავლობაში, არავინ მიჰკარებია, გარდა რუსთაველი მწერლებისა და პოეტებისა.

არა, უმადლონი ვიქნებით, რომ არ ვთქვათ: ქალაქის მერიამ გარკვეული თანხა გამოყო ამ თარიღისადმი მიძღვნილი კონკურსის დასაფინანსებლად, მერე სპეციალური რვაგვერდიანი გაზეთი „ლიტერატურული ქვემო ქართლიც“ გამოვიდა მავანთა შეწყალებითა და გვერდში დგომით, მაგრამ საქმე, მესამე, მნიშვნელოვან ეტაპზე რომ მიდგა — ქალაქის საზოგადოების მონაწილეობითა და თანდასწრებით აღნიშნულიყო ეს თარიღი, რუსთაველ მწერლებსა და პოეტებს, ქალაქის ინტელიგენციას მიეღო მონაწილეობა, ამ ღონისძიებას ახალგაზრდები დასწრებოდნენ, მერიის შესაბამისმა განყოფილებამ, მუნიციპალური თეატრის მეურვეობა რომ აკისრია, კატეგორიული უარი განაცხადა, არაო, თქვა და აღარ გადათქვა. ჩვენი გონივრული ეჭვით, ალბათ იმიტომ, რომ თავის დროზე მეტალურგების აშენებული თეატრი ახლა კერძოა თუ კერძო საკუთრებასავითაა — რაღა თქმა უნდა, ფასის გადახდას ითხოვდა, მეორე — დაგეგმილ სპექტაკლებს ვერ ჩაშლიდნენ დიდი პოეტის გულისთვის, მესამე — მწერალ-პოეტები ვერსად იჩივლებდნენ, მეოთხე — რა საჭიროა ახალგაზრდა თაობებისათვის მწერლობა, ზოგადად, ლიტერატურა, კონკრეტულად, ლექსი და მოთხრობა, როცა ქვეყანას არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგაც ამდენი თავის ასატკიებელი პრობლემა აქვს. ისე რომ, მადლს მარილი აღარ მოაყარეს და თეატრში ცხვირიც კი არ შეგვაყოფინეს საიმისოდ, რომ რუსთაველის ქალაქ რუსთავში პოეტის 850-ე წლისთავი მინიფორმით მაინც აღნიშნულიყო...

მწერალთა კავშირის ქვემო ქართლის ლიტერატურულმა ასოციაციამ მწერლისა და ჟურნალისტის გივი ჯახუას თავკაცობით მაინც მოახერხა კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოება და შოთა რუსთაველის 850-ე წლისთავის ჯეროვნად აღნიშვნა ცენტრალური ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში. ღონისძიებას საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე მაყვალა გონაშვილიც დაესწრო, ითქვა, რომ რუსთავს დაარსებიდან დღემდე მდიდარი მწერლური ტრადიციები აქვს და ქალაქი დღესაც უნდა ამაყობდეს ნიჭიერებით გამორჩეული მწერლების სახელით და მათ მოსაზრებებსაც ანგარიში უნდა ეწეოდეს.

... საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, არჩევნები კვლავაც ჩატარდება, ჩვენ კი, მოსახლეობის უმრავლესობამ, რომლებმაც ჯერ კიდევ არ ვიცით, ვიცინოთ თუ ვიტიროთ, ერთი რამ მაინც ღრმად გვწამს: საქართველომ და „ვეფხისტყაოსანმა“ ერთმანეთი რომ გადაარჩინეს და რომ, მომავალშიც გამარჯვება ეროვნულ ღირებულებებსა და სახელებს ექნება.

* * *

შოთა რუსთაველის შესანიშნავი, ჯერ კიდევ 1942 წელს შექმნილი ბერძენიშვილის მონუმენტური, ქვაში ჩამოსხმული ქანდაკება (მისი პირველსახე ბრინჯაოში ჩამოსხმული დედაქალაქში, რუსთაველის პროსპექტზე დგას) ქალაქ რუსთავის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილში, სიამაყისა და თავმოწონების საბაბს უჩენს ყველა რუსთაველს და აქ შემოსულ უცხოსაც, რომელთაც იციან, რომ გენიოსები არც კვდებიან და არც იკარგებიან, მათი სახელი მარადიულია.

ლია მარტაშვილი.
რუსთავი-თბილისი

◎ სატირა(ლი)

ცადმფრენი ზღაპრები

— შვილო, რაღაც ჩაფიქრებული ჩანხარ, — შენიშნა სკოლიდან დაბრუნებულ შვილიშვილს ვასო პაპამ, — ეტყობა, მასწავლებელმა რთული ამოცანა მოგცა.

— არა, პაპი, ამოცანა კი იოლად გამოვიყვანე, მაგრამ რაღაც მაინც გაურკვეველი დამრჩა.

— რა დაგრჩა გაურკვეველი შვილო, მითხარი და დაგეხმარები.

— აი, თუნდაც აქლემის საქციელი, გამაგებინე, ის მართლა იფურთხება?

— კი, აქლემი მაგარი მეფურთხეა, გოგა, თუ რამე აწყენინე, მაშინვე მოგადორბლებს.

— მოგადორბლებს თუ მომაფურთხებს? ამოცანაში წერია — იფურთხებაო და იმიტომ გეუბნები.

— მოხუცი დაინტერესდა ამოცანით, სათვალე მოიმარჯვა და ტექსტი გულდასმით ჩაიკითხა: „აჩიკო ზოოპარკში ერთდროულად სამ აქლემს აბრაზებდა, თითოეულმა ბიჭს ცხრაჯერ მიაფურთხა. სულ რამდენჯერ მიაფურთხეს აჩიკოს აქლემებმა?“

— მშვენიერი ამოცანაა, — გამხიარულდა ვასო პაპა, — ამას მეც სიამოვნებით ამოვხსნიდი.

— ნუ შეწუხდები, პაპი, მე უკვე ამოვხსენი: სულ 27-ჯერ შეაფურთხეს აჩიკოს აქლემებმა.

— ყოჩაღ, აქლემებო! — გაიხარა ბერიკაცმა, — აი რას ნიშნავს დემოკრატია, ჩემს პატარაობაში აქლემი მოსწავლისთვის შეფურთხებას როგორ გაბედავდა.

— ვისი ეშინოდა? — გაიკვირვა გოგამ.

— მთავრობისა, შვილო, მთავრობისა. მაშინ აქლემი კი არა, მაიმუნი რომ მაიმუნია, იმას რომ ბავშვისთვის, გნებავთ დიდისთვის, შეეფურთხებინა, მაშინვე ჩააყუდებდნენ.

— ახლა?

— ახლა მეგადემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ხომ ხედავ, პატარა აჩიკოს 27-ჯერ შეაფურთხეს აქლემებმა, მაგრამ განათლების მინისტრს პროტესტიც კი არ განუცხადებია.

— უნდა განეცხადებინა?

— არა, რა თქმა უნდა. მინისტრი ახლა ქართული ზღაპრების რეფორმირებასაა შეჭიდებული და აქლემებისთვის არ სცალია.

— რეფორმირებას? — გაიკვირვა ბიჭმა, — მე ჩვენი ზღაპრები ძალიანაც მომწონს, პაპი, მაგას რა რეფორმა სჭირდება?

— სჭირდება, შვილო, სჭირდება. ეტყობა სჭირდება, თორემ მაგხელა ტვინიანი, ყელღაბუა ჩინოვნიკი მეზღაპრეობას ტყუილუბრალოდ ხომ არ შეებმებოდა?!

— მაინც რომელი ზღაპარი არ მოსწონს, პაპი, მინისტრსა?

— არც ერთი, შვილო, არც ერთი. ამბობს, ამ კოსმოსურ საუკუნეში რაღა დროს კომბლეზე, ბაყბაყდევზე, რწყილსა და ჭიანჭველაზე საუბარია, დღევანდელ ბავშვებს თანამედროვე ზღაპრები მიესადაგებათო.

— აი, მაგალითად, ნაცარქექიასი რა არ მოსწონს?

— სწორედ ეგ არ მოსწონს, რომ ნაცარქექიაა. დღეს ქვეყანას ნაცრის მქექავი კი არა, მშენებელი ნაცარქექია მოუხდებაო.

— კარგი რა, პაპი, ნაცარქექია მშენებელი თუ გახდა, ნაცარქექია როგორღა იქნება?

— ალბათ, არც იქნება, მას სახელს შეუცვლიან და სულაც ცემენტქექიას დაარქმევენ. ეგ კი არა, შვილო, მინისტრს თურმე ისიც არ მოსწონს ზღაპრები უხერხული მინაწერით —„ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა“ — რომ მთავრდება.

— რა არის ამაში უხერხულიო?

— შენ ჯერ ბავშვი ხარ და ვერ ხვდები, მინისტრი კი შორს იყურება. მისი სურვილია, ჭირის ნაცვლად ყველგან ლხინი ზეობდეს და ქატოს მაგივრადაც ყველა ოჯახში ფქვილით სავსე ტომრები ზიმზიმებდეს.

— ეს, ნამდვილად კარგი სურვილია, — მოიწონა გოგამ, — მაგრამ ზღაპრებში განა სადმე წერია, რომ სხვებისთვის აუგი გვწადია?

— არა, მაგრამ უცხოელმა, რომელიც ქართულ ზღაპრებს წაიკითხავს, შეიძლება იფიქროს, რომ ჩვენ სხვების დისკრიმინაციას ვეწევით და ნატოში საქართველოს გაწევრებაზე უარყოფითად განეწყოს.

— მაღაზიებში ახლა „ქატოს პური“ რომ იყიდება, ეტყობა ისიც მინისტრის ინიციატივით ცხვება, არა პაპი?

— სწორად მიხვდი, შვილო, მალე მინისტრის მიერ რეფორმირებული ზღაპრების წიგნიც გამოვა და ქართველების კეთილმოსურნეობაში ეჭვი რომ აღარავის შეეპაროს, მას „ქართული ზღაპრების“ ნაცვლად „ცადმფრენი ზღაპრები“ ერქმევა.

ამ საუბრის მომსწრე მე უფრო შორს წავედი და მივხვდი, რომ წელს თუ არა, მომავალ ახალ წელს მაინც მფრინავ ზღაპრებთან ერთად „ცადმფრენი მინისტრებიც“ გვეყოლება, თუ უკვე არა გვყავს!

ოტია ჩართოლანი

Amendment to Procurement Notice for

“Procurement of Repair Services for Akhaltsikhe 63 MVA 400/11/10.5 Transformer for Energotrans Ltd” published in “Sakartvelos Respublika” #242 (8134) on December 27, 2016 (page 9)

Bidding # T02 S01/2016

Required experience of the Bidder provided in the first column of the Procurement Notice shall be amended and read as follows:

„The Bidder should have at least five (5) years of experience in manufacturing and/or repairing 400 (500) kV transformers. Document proving Bidders experience in manufacturing and/or repairing shall be submitted (documents such as: list of produced and/or repaired transformers, etc.)“

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ახალი ხიდი შენდება

საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის 113-ე კილომეტრზე მშრალ ხევზე, ახალი ხიდი აშენდება.

80-იან წლებში აშენებული ხიდის ნაცვლად, რომელიც აღარ ექვემდებარებოდა აღდგენას, შენდება ახალი ალტერნატიული ხიდი, რაც სრულად დააკმაყოფილებს სატრანსპორტო მოთხოვნებს. განახლებული ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის, სატრანზიტო გადაზიდვებისა და ტურისტების უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას ყაზბეგის მიმართულებით.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ კობთან, ხიდის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პროექტირება და მშენებლობა პარალელურ რეჟიმში განხორციელდება.

სამუშაოების მიმდინარეობას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი სეთურიძე გაეცნო. პროექტის სავარაუდო ღირებულება 4 550 000 ლარია. საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები მიმდინარე წლის ოქტომბერში დაიწყო და 2017 წლის დეკემბერში დასრულდება.

◎ საფეხბურთო მოზაიკა

მათე ცინცაძემ „პოგონთან“ კონტრაქტი გააფორმა

21 წლის ნახევარმცველი მათე ცინცაძე შჩეცინის „პოგონის“ წევრი გახდა. როგორც პოლონური კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, ქართველ ფეხბურთელთან სამწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გაფორმდა. მათე ახალ გუნდში 8-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

„პოგონის“ პრესსამსახურისვე ცნობით, ცინცაძე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ რამდენიმე დღით საქართველოში პირადი საკითხების მოსაგვარებლად დაბრუნდა და გუნდში მზადებას ორშაბათიდან დაიწყებს.

მათე ცინცაძემ კარიერა თბილისის „ლოკომოტივში“ დაიწყო, მერე ქუთაისის „ტორპედოში“ გამოდიოდა, 2014 წლიდან კი თბილისის „დინამოს“ ღირსებას იცავდა. უთამაშია საქართველოს ყველა ასაკობრივ ნაკრებში , ეროვნულ გუნდში კი ორი თამაში ჩაუტარებია.

„პოგონი“ პოლონეთის ექსტრაკლასაში 20 ტურში მოპოვებული 26 ქულით მე-7 ადგილზე იმყოფება.

კობახიძეს თურქეთში ელიან

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და უკრაინული „ვორსკლას“ ნახევარმცველი სანდრო კობახიძე, დიდი ალბათობით, ამ ზამთრიდან კარიერას თურქეთში გააგრძელებს.

როგორც ცნობილია, „ვორსკლას“ ფინანსური პრობლემები აქვს და გუნდიდან სხვა ფეხბურთელებთან ერთად კობახიძის წასვლაზე ბოლო პერიოდში აქტიურად საუბრობენ. ყველაზე რეალურ ვარიანტად 29 წლის ქართველი ფეხბურთელის „ზორიაში“ გადასვლა სახელდებოდა, თუმცა, უკრაინული football.ua თურქულ Superligyolu.com-ზე დაყრდნობით იტყობინება, რომ პოლტავური კლუბი კობახიძის ტრანსფერზე „სივასპორს“ შეუთანხმდა. გარიგების დეტალები ჯერჯერობით არ სახელდება.

„სივასპორი“ ამჟამად თურქეთის რანგით მეორე დივიზიონში თამაშობს და სუპერლიგაში გადასვლისთვის იბრძვის — 16 ტურში მოპოვებული 28 ქულით მეოთხე ადგილზეა და ლიდერ „გიოზტეპეს“ მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება.

სანდრო კობახიძე უკრაინაში 2008 წელს თბილისის „დინამოდან“ გადავიდა, „ვორსკლამდე“, „დნიპროში“, „კრივბასში“, „არსენალში“ და „ვოლინში“ თამაშობდა, პოლტაველებს კი გასულ ზაფხულს შეუერთდა და უკრაინის მიმდინარე ჩემპიონატში ჩატარებულ 17 მატჩში 1 გოლი გაიტანა.

„ბარსელონას“ თავკაცად, შესაძლოა, კუმანი ვისილოთ

ლივერპულის „ევერტონის“ მთავარმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა, შესაძლოა, სეზონის ბოლოს კატალონიის „ბარსელონა“ ჩაიბაროს. როგორც ესპანური გამოცემა sport-ი იუწყება, იმ შემთხვევაში, თუ ლუის ენრიკე „ბლაუგრანასთან“ კონტრაქტს არ გაახანგრძლივებს, ესპანური გრანდის ხელმძღვანელი ჰოლანდიელი გახდება.

კუმანი „ბარსელონაში“ 1989-95 წლების განმავლობაში თამაშობდა, კარიერის დასრულების შემდეგ კი ორი წელი მთავარი მწვრთნელის ასისტენტიც გახლდათ.

კანისარესი: „ვალენსიას“ დატოვება ყველას სურს“

ესპანური „ვალენსიას“ ყოფილი მეკარე სანტიაგო კანისარესი ამ კლუბის უმთავრეს პრობლემად ხელმძღვანელობის არათანმიმდევრულ ნაბიჯებს მიიჩნევს და ამბობს, რომ ჩეზარე პრანდელის მსგავსად, ყველა პროფესიონალს სურს „ღამურების“ რიგების დატოვება.

იტალიელი სპეციალისტი „ვალენსიას“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან, სამთვიანი მუშაობის შემდეგ, რამდენიმე დღის წინათ გადადგა, რითაც კლუბის ხელმძღვანელთა კრიტიკა დაიმსახურა, კანისარესი კი პრანდელის გადაწყვეტილებაში უცნაურს ვერაფერს ხედავს.

„ვალენსიასგან“ მაღალ სტანდარტებს მივეჩვიეთ, თუმცა, ახლა ყველა პროფესიონალს სურს ამ კლუბის დატოვება. ეს ეხება პრანდელისაც. ხელმძღვანელობის არათანმიმდევრულობასთან გამკლავება შეუძლებელია“ — აცხადებს კანისარესი, რომელიც „ვალენსიას“ კარს 10 წლის განმავლობაში, 1998-2008 წლებში იცავდა, გუნდთან ერთად ორჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი, ორჯერ ქვეყნის თასი, თითოჯერ ესპანეთის სუპერთასი, უეფას თასი, ინტერტოტოს თასი და უეფას სუპერთასი.

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი

20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი - საქართველო 2017

ხუთ თვეზე ნაკლები რჩება 2017 წლის უმნიშვნელოვანესი სარაგბო მოვლენის - მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის დაწყებამდე და მას საქართველო მასპინძლობს.

31 მაისიდან 18 ივნისამდე პლანეტის 12 ელიტური ასაკობრივი ნაკრები ერთმანეთს თბილისსა და ქუთაისში შეერკინება. მსგავსი მასშტაბის ტურნირისთვის ჩვენს ქვეყანას აქამდე არასდროს უმასპინძლია და ეს არა მხოლოდ ქართული რაგბის, არამედ მთელი ქვეყნის წარმატებაა.

2017 წლის ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატს მსოფლიო რაგბის თავმჯდომარე ბილ ბომონტი ეხმიანება: "მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატი უზომოდ პოპულარულ და მნიშვნელოვან შეჯიბრად იქცა. ამასთან, მას არსებითი როლი ენიჭება თამაშის მომავალი ვარსკვლავების გამოვლენაში.

„საქართველოში რაგბი საოცარი ტემპებით ვითარდება, ხოლო მის მიმართ ინტერესი უფრო მაღალია, ვიდრე ოდესმე. მჯერა, თბილისსა და ქუთაისში ჩასულ გუნდებს გულმხურვალე და ენერგიული გულშემატკივარი დახვდება, ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე კი, რომელსაც საქართველოში ვიხილავთ, შესაძლებელია მონაწილეობდეს უფრო დიდ ასპარეზზე იაპონიაში — 2019 წლის რაგბის მსოფლიო თასზე“.

საიუბილეო ტურნირი

მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატი 2008 წლიდან ყოველწლიურად იმართება და საქართველოში გასამართი ტურნირი მეათეა მისი არსებობის ისტორიაში. პირველ ორ გათამაშებაში 16 გუნდი მონაწილეობდა, ხოლო მას შემდეგ მონაწილეთა რაოდენობა 12-მდე შემცირდა და ის კაცთა მსოფლიო თასის შემდეგ უმნიშვნელოვანეს მოვლენად ითვლება სარაგბო სამყაროში.

აქამდე 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის 8 ქვეყანას უმასპინძლია - ორჯერ იტალიას და თითოთითოჯერ ახალ ზელანდიას, ინგლისს, სამხრეთ აფრიკას, საფრანგეთს, არგენტინას, უელსს და იაპონიას.

გასულ ცხრა გათამაშებას სულ სამი გამარჯვებული ჰყავს — ახალი ზელანდია ხუთჯერ, ინგლისი სამჯერ და სამხრეთ აფრიკა ერთხელ. „ჯუნიორ ოლ ბლექსმა“ პირველი ოთხი გათამაშება ზედიზედ მოიგო, ხოლო 2016 წელს ჩემპიონი მასპინძელი ინგლისი გახდა.

ახალ ზელანდიას, სამხრეთ აფრიკას, ავსტრალიას, არგენტინას, ინგლისს, ირლანდიას, საფრანგეთს, უელსს და შოტლანდიას განვლილ ცხრავე ტურნირში უთამაშიათ, სულ კი 20-წლამდელთა ჩემპიონატში 18-მა გუნდმა მოსინჯა ძალები. აქედან ორმა — კანადამ და ურუგვაიმ მაშინ ითამაშეს, როდესაც მონაწილეთა რაოდენობა 16-ს შეადგენდა. ჩემპიონატში ორჯერ ითამაშა აშშ-მა — 2008 წელს 16-გუნდა და 2013 წელს 12-გუნდა გათამაშებაში, მაგრამ ელიტაში ადგილი ვერ შეინარჩუნა.

ფინალი „მესხზე“ და „ოლ ბლექსი“ ქუთაისში

20-წლამდელთა ჩემპიონატის 12 მონაწილე გუნდი სამ ოთხგუნდა ჯგუფშია გადანაწილებული. ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ ჯგუფის სამივე გამარჯვებული და ერთიც საუკეთესო მეორეადგილოსანი თასისათვის აგრძელებენ ბრძოლას, დანარჩენი ორი მეორეადგილოსანი და ორი სუკეთესო მესამეადგილოსანი 5-8 ადგილებს გაითამაშებენ, ხოლო ჯგუფის ბოლოადგილოსნები და ერთიც უარესი მესამეადგილოსანი 9-12 ადგილებისთვის იბრძვიან. ტურნირის ბოლოადგილოსანი ელიტას დატოვებს და მის ადგილს „ალაფის“ გამარჯვებული დაიკავებს.

2017 წლის მსოფლიო ჩემპიონატის „ა“ ჯგუფში ინგლისი, ავსტრალია, უელსი და სამოა ითამაშებენ, „ბ“ ჯგუფში ირლანდია, ახალი ზელანდია, შოტლანდია და იტალია არიან განთესილი, ხოლო საქართველო „გ“ ჯგუფში სამხრეთ აფრიკასთან, არგენტინასთან და საფრანგეთთან ერთად ითამაშებს.

„ა“ და „გ“ ჯგუფის თამაშებს თბილისი, „ავჭალის სარაგბო სტადიონი, ხოლო „ბ“ ჯგუფს ქუთაისი მასპინძლობს. პლეი ოფები დედაქალაქშია დანიშნული და თასის ნახევარფინალებს და გადამწყვეტ შეხვედრებს „მიხეილ მესხი“ მასპინძლობს.

კოგა კოგახიძე

◎ ლეგიონერი

შენგელიამ მოგებით დაიწყო

თორნიკე შენგელიამ და მისმა „ბასკონიამ“ 2017 წელი საამაყო გამარჯვებით დაიწყეს. ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში ვიტორიელებმა მადრიდის „რეალს“ უმასპინძლეს და საკმაოდ იოლად - 77:62 იმარჯვეს.

ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში იყო და 17 წუთში 7 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა. შენგელიამ 5-დან 3 ორქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 4-ჯერ დაკარგა, 1 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინაამდეგ კი 3-ჯერ დაჯარიმდნენ.

მასპინძელთა რიგებში ყველაზე შედეგიანები ამერიკელი შეინ ლარკინი და უნგრელი ადამ ჰანგა იყვნენ 16-16 ქულით, ფრანგმა ტიმ კილიმ კი 14 ქულა ჩაგდო. "რეალის" მხრიდან სლოვენიელი ლუკა დონჩიჩისა და ესპანელი რუდი ფერნანდესის გარჯა უნდა გამოვარჩიოთ. მათ 12-12 ქულა მოაგროვეს.

9 მოგებითა და 5 წაგებით ვიტორიელები ცხრილში მე-5 ადგილზე არიან. მომდევნო მატჩს „ბასკონია“ 8 იანვარს, მადრიდში, „ფუენლაბრადასთან“ ჩაატარებს. ამავე დღეს გიორგი შერმადინისა და ბექა ბურჯანაძის „ანდორა“ ესპანეთის დედაქალაქში „რეალს“ დაუპირისპირდება.

ვიტალი ჯაფარიძე

ᲛᲙᲕᲚᲔᲚ ᲙᲐᲮᲐ ᲮᲣᲠᲪᲘᲫᲔᲡ 13 ᲬᲚᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲐ ᲛᲘᲔᲡᲐᲯᲐ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის ჩადენაში კახა ხურციძე დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 29 აგვისტოს,

ქ.რუსთავში, ახმეტელის ქუჩაზე ხულიგნობისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფ კახა ხურციძეს საცხოვრებელი სახლის ეზოში ურთიერთშელაპარაკება მოუხდა მეზობელთან თემურ კახაბრიშვილთან, რა დროსაც კახა ხურციძემ შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით თემურ კახაბრიშვილს დანით გულმკერდის არეში მიაყენა ჭრილობა. მიღებული დაზიანების შედეგად თემურ კახაბრიშვილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა კახა ხურციძე 2016 წლის 29 აგვისტოს ქ. რუსთავში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ კახა ხურციძე სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ვინაიდან კახა ხურციძეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ 2015 წლის 20 თებერვლის განაჩენით 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ხულიგნობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის 3 წლით პირობითი მსჯავრი ჰქონდა შეფარდებული, სასამართლომ 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დანიშნულ სასჯელს პირობითი მსჯავრიდან ერთი წელი მიუმატა და კახა ხურციძეს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად, განაჩენთა ერთობლიობით, თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით განუსაზღვრა.

ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲝᲑᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ 4 ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲐ, ᲮᲝᲚᲝ 1 ᲞᲘᲠᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲪᲐ

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი დიდი ოდენობით თაღლითობის ბრალდებით, 4 პირი: 1975 წელს დაბადებული ვ.ა., 1975 წელს დაბადებული გ.ს., 1983 წელს დაბადებული ა.ჭ. და 1991 წელს დაბადებული ტ.თ. დააკავეს, ხოლო 1982 წელს დაბადებული გ.მ. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა შპს „ნპ საქართველო“ და შპს „მოტორ ლაინ ქომფანი“ დააფუძნეს და ერთ-ერთ ვებ-გვერდზე რეკლამა განთავსეს, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ევროპის ქვეყნებიდან მოქალაქეთათვის სასურველი ავტომანქანები საბაზრო ღირებულებასთან შედარებით დაბალ ფასად ჩამოჰყავდათ.

ბრალდებულები მოქალაქეებთან ყალბ ხელშეკრულებებს აფორმებდნენ, რომელთა საშუალებითაც ვალდებულებას იღებდნენ, მითითებული ავტომობილები ხელმოწერიდან 60 დღის ვადაში ჩამოეყვანათ, ხოლო მოქალაქეებს თანხები შესაბამის ანგარიშებზე ავტომანქანების ჩამოსვლამდე, წინასწარ უნდა ჩაერიცხათ.

აღნიშნული დანაშაულებრივი სქემის საშუალებით, ბრალდებულები თაღლითურად დაეუფლნენ მოქალაქეების კუთვნილ 115 300 აშშ დოლარს და 1900 ევროს.

პოლიციამ ერთ-ერთი დაკავებულის — გ.მ.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, 7200 აშშ დოლარი, ხოლო ბრალდებულების კუთვნილი კომპანიების ოფისებიდან სხვადასხვა დოკუმენტაცია და კომპიუტერები ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

მხილებული პირის ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების მიზნით სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებები მიმდინარეობს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ ჩადენილი დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტზე მიმდინარეობს.

ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი, ტელეკომპანიები „ახალი საქართველო“ და „TV-24“, რადიო „საქართველოს ხმა“ და საინფორმაციო სააგენტო „ჯეონიუსი“ მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ქვეყნის ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲒᲔᲒᲘᲐ

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 5, 6 |, 17 სთ, ჭავჭავაძის პროსპექტი №54ა, | სად. || სართ. გამოსვენება 7 |, 14 სთ. დაკრძალვა ვაკე-საბურთალოს სასაფლაოზე.

სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებელი“ ღრმა მწუხარებით იუწყება გენერალური დირექტორის ყოფილი მოადგილის

ᲒᲘᲕᲘ ᲝᲓᲘᲨᲐᲠᲘᲐᲡ

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ფუსფუსი ნიუ-იორკში ყველაზე მეტად ბრუკლინში იგრძნობოდა, სადაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩასული იმიგრანტები ცხოვრობენ. ისინი ტრადიციების შენარჩუნებას ამერიკაშიც ცდილობენ. განსაკუთრებული დღესასწაულია ახალი წელი და შობა ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი იმიგრანტებისთვისაც. როგორ და რა ვითარებაში შეხვდნენ ისინი ახალ, 2017 წელს და რას უსურვებენ საქართველოს?

ქართველი იმიგრანტების დიდი უმრავლესობა ცდილობს, საახალწლო სუფრასთან მარტო არ იყოს და ახალ წელს მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად შეხვდეს. ზოგიერთის სურვილია, ეს დღე თოვლიან გარემოში გაატაროს, ამისათვის ისინი ნიუ-იორკის შტატის მთიან ნაწილში „ქეტსკილში“, აგრეთვე კანადის საზღვართან, ნაწილი კი პენსილვანიის შტატში, კურორტ „პოკონოში“ მიდის.

ახალ წელს პოკონოში, საკუთარ აგარაკზე უკვე მეორედ შეიკრიბნენ დობორჯგინიძე-ჯაფარიძეების ოჯახი. 31 დეკემბრამდე ორი დღით ადრე ოჯახის უფროსი ტახზე სანადიროდ მიდის, სახლში დარჩენილი ქალბატონები კი საახალწლო სუფრისთვის ემზადებიან. დინარა ჯაფარიძე თავის შვილთან, სიძესთან და შვილიშვილებთან ერთად ახალ წელს ამერიკაში უკვე მეორედ ხვდება.

დინარა ჯაფარიძე: „შედარებაც არ შეიძლება, საქართველოში ისე ვხვდებით ახალ წელს. აქ უფრო შობის დღესასწაულს აღნიშნავენ პომპეზურად. ჩვენს ოჯახში ტრადიციას მაინც არ ვარღვევთ და ქართული სუფრით შევხვდით ახალ წელს ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად. ჩურჩხელა გავაკეთე, სუფრაზე გოჭი და საცივიც გვქონდა“.

გოჭი, საცივი, გოზინაყი — ეს სამი აუცილებელი კერძი, შოთის პურთან და ქართულ ღვინოსთან ერთად ემიგრანტების სუფრაზე წელსაც იყო. საახალწლო მენიუსთვის მზადება ბრუკლინში მოქმედმა ქართულმა საცხობებმა და რუსული პროდუქტების მაღაზიებმა რამდენიმე კვირით ადრე დაიწყეს. ნიუ-იორკში გოჭი დელიკატესად ითვლება. ქართულ და რუსულ მაღაზიებში მათი ყიდვა მხოლოდ საახალწლოდ შეიძლება. მაღაზიების მფლობელებს გოჭები ნიუ-ჯერსის შტატის ფერმებიდან ჩამოაქვთ. ქართველი იმიგრანტებისგან შეკვეთები ერთი კვირით ადრე იწყება, გოჭებს კი წლის ბოლო სამი დღეღამის განმავლობაში თონეში წვავენ. 31 დეკემბერს, როგორც წესი, ბრუკლინში არსებულ ქართულ საცხობებში ცოცხალი ქართული რიგი დგას.

ნიუ-იორკში მცხოვრები მსახიობები **ხათუნა იოსელიანი** და **ცუცა კაპანაძე** ახალ წელს ქართული კულტურის ცენტრის დამფუძნებლების ლიკა და ვიქტორ სირელსონის სახლში, ნიუ-იორკის შტატის ჩრდილოეთ ნაწილში, ვორვიკში შეხვდნენ. ხათუნა იოსელიანს ახალი წელი განსაკუთრებით უყვარს. მანჰეტენზე, სახლში, სადაც ის ცხოვრობს, ნაძვის ხე დადგა და ახალ წელს ხალისიანი განწყობით შეხვდა.

ხათუნა იოსელიანი: „ახალ წელს შევხვდი ბრწყინვალედ, მეგობრებთან ერთად. ნაძვის ხე დავდგი ახალი, თოვლის ბაბუაც შევიძინე, მოვრთე, მოვკაზმე ნაძვის ხე სათამაშოებით, თავზე ანგელოზიც დავამაგრე. განსაკუთრებით მიყვარს ახალი წელი და საერთოდ იანვარი მიყვარს, არ ვიცი რატომ, შეიძლება იმიტომ, რომ 9 იანვარს ჩემი დაბადების დღეც არის“.

ცუცა კაპანაძე: „ყოველ წელს ვამბობ — ახლა წავალ საქართველოში და იქ შევხვდები ახალ წელს, მაგრამ ასე ოცნებაში მიფრინავს ეს წლები, არც მგონია, ასე უცბად თუ გავიდა ეს თერთმეტი წელი. ჩემს ბავშვობაში, საჩხერეში, ყოველთვის ვისვრიდით თოფს. მეკვლეც ყოველთვის მოდიოდა. ძალიან მენატრება ის დრო. მეკვლეს აუცილებლად უნდა დაახვედრო საჩუქარი, თაფლი, პატარა თაფლის კვერები, რომელიც უნდა ჩააწოს თაფლში. მერე ეს კვერები უნდა მოგაწოდოს და გითხრას - ასე ტკბილად დამიბერდიო. სამწუხაროდ, აქ არ იციან ეს“.

ახალი წლის ღამეს ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი იმიგრანტები ცდილობდნენ, ქართული არხებისთვის ეყურებინათ, ოჯახებს სკაიპის მეშვეობით, შამპანურით ხელში ახალი წლის დადგომა მიულოცეს. ამ მილოცვებში ბევრი სევდა და ცრემლია, რომელიც საყვარელ ადამიანებთან ხშირად იძულებითი განშორებით არის გამოწვეული და ზოგისთვის ეს განშორება ათი და ოცი წელიც გრძელდება. მათი საახალწლო სურვილებიც ერთმანეთთან შეხვედრას და მონატრებას უკავშირდება.

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲓᲐᲜ:

დინარა ჯაფარიძე: „ქართველ ხალხს გამოფხიზლებას, ნორმალურ ცხოვრებას ვუსურვებ. ემიგრანტებს არ ეზარებოდეთ და არ ეშინოდეთ აქედან სამშობლოში ჩასვლა და დაბრუნება“.

ცუცა კაპანაძე: „არავინ არ ყოფილიყოს გაჭირვებული. ყველას, ვისაც რა ოცნება აქვს, ამ წელში ყველას ასრულებოდეს. ვამბობთ ხოლმე, ყველა ოცნება რომ ასრულდეს, უფრო უაზრო იქნება ცხოვრება. არა, არ იქნება უაზრო, ალბათ უფრო აზრი ექნებოდა ცხოვრებას, უფრო ლამაზი გახდებოდა. არასოდეს ხელგაშვერილი და ავადმყოფი ბავშვი არ მენახოს, რაზეც გული ძალიან მტკივა. და ყველა ემიგრანტი დავბრუნებულიყავით ჩვენს ლამაზ ქვეყანაში“.

ხათუნა იოსელიანი: მოწინავე, პირველ რიგში რომ იყოს ჩემი ქვეყანა, არა მხოლოდ ევროპის, არამედ მსოფლიოს მასშტაბით. ღმერთმა ქნას, მე კი ვერ მოვესწრები, მაგრამ ჩემი შვილთაშვილები მოესწრონ და ბედნიერ ქვეყანაში ეცხოვროთ. არასოდეს არ ჩამქრალიყოს შუქი მათ სახლებში.

რაულ ჩილაჩავა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ აკადემიის უცხოელ წევრად აირჩია გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, უკრაინის მოქალაქე 1965 წლიდან, ქართული ლიტერატურის შედევრების უკრაინულ ენაზე მთარგმნელი რაულ ჩილაჩავა.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ სულითა და გულით ულოცავს ჩვენი გაზეთის ერთგულ ავტორს, რედაქციის მეგობარს, შესანიშნავ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს **რაულ ჩილაჩავას** ამ საპატიო წოდებას, უსურვებს წარმატებებსა და წინსვლას შემოქმედებასა და ცხოვრებაში.

ვსარგებლობთ ამ სასიხარულო შემთხვევით და ბატონ რაულსა და მის შესანიშნავ ოჯახს ვულოცავთ შობა-ახალი წლის დღესასწაულს, ღმერთმა გამრავლოთ და გაგახაროთ!

მშვიდობა — უკრაინას, მშვიდობა — საქართველოს!

◎ დედაქალაქი

ზღაპრული სამყარო პატარებისთვის

შობა-ახალი წლის სადღეასწაულო დღეებში დედაქალაქისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ პატარებს მრავალფეროვანი გასართობი პროგრამითა და სიურპრიზებით ხვდება მთაწმინდის პარკი, დედაენის ბაღი და თბილისის მთავარი პროსპექტი. თუ რუსთაველის პროსპექტზე პატარებსა და უცხოელ სტუმრებს საშუალება ეძლევათ საახალწლო სუვენირების შეძენისა, მთაწმინდის პარკში ისინი მართლაც ზღაპრულ ქვეყანაში ხვდებიან — ფიფქია, თოვლის პაპა, ქართული, უცხოური ზღაპრებისა და პოპულარული მულტფილმების გმირები, უზარმაზარი დინოზავრები და მამონტები, ათასგვარი გასართობი, ბავშვებს დასამახსოვრებელ დღეებს ჩუქნიან. „დედა-ენის ბაღში“ კი სხვადასხვა ანსამბლების კონცერტებით დატკბებით, პატარები ატრაქციონებზე ერთობიან. საშუალება ეძლევათ ცხენებშებმული ეტლებით სეირნობისა. დედაქალაქის ყველა უბანში საახალწლო განწყობილება სუფევს, ყველა სკვერსა და ბაღში პატარებისთვის გასართობი კუთხეა მოწყობილი.

ავთანდილ ბეჭაური

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო





◎ ინტერნეტიდან

გაურკვევლობები სერიალ „ფეხბურთელების ცოლების“ გარშემო

ცნობილი ამერიკული სერიალის „ფეხბურთელების ცოლების“ პროდიუსერები დიდ გასაჭირში არიან ჩავარდნილი. სერიალის შვიდი სეზონი საკმაოდ დიდი წარმატებით გავიდა, მაგრამ ამჟამად სერიალი შეწყვეტილია. პროდიუსერებს სურთ, სერიალი გაისად გაგრძელდეს და პრობლემაც ამ დროს წარმოიშვა.

ამერიკის სოკერის, ანუ ევროპული ფეხბურთის მოთამაშეთა პროფკავშირი მოითხოვს, რომ თუკი სერიალში რეალური ფეხბურთელები და მათი ოჯახის წევრებიც იქნებიან გამოყენებული, „ფეხბურთელების ცოლების“ მესვეურებს პროფკავშირი საამისოდ საკმაოდ გვარიანი თანხის გადახდას მოსთხოვს.

ფილმის დამფინანსებლები მტკიცე უარზე არიან და ამბობენ, რომ ამერიკული კანონმდებლობით ყველა ადამიანთან კონკრეტული კონტრაქტის გაფორმებაა ნებადართული და პროფკავშირისათვის თანხის გადახდა არც სურთ და არც არიან ვალდებული ეს გააკეთონ. პროფკავშირი კი იძახის, მაშინ მე მოვთხოვ ჩემს წევრებს და თქვენთან თანამშრომლობაზე უარს იტყვიანო. ახლა იქ ისეთი სიტუაციაა შექმნილი, უმალ ვეფხისა და მოყმის ქანდაკებასთან ახლოს მდებარე „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისის შენობა გაგახსენდება — კაციშვილმა არ იცის, ვისი ვიოლინო ვის როიალშია!

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კრიმინალი

კორცხელში წყლით სავსე თხრილში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

სამეგრელოში, სოფელ კორცხელში წყლით სავსე თხრილში მამაკაცის ცხედარი იპოვეს. გარდაცვლილს ფიზიკური დაზიანებები არ აღენიშნება.

შს სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6478; ევრო - 2.7553;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2549;
100 რუბლი - 4.3634; თურქული ლირა - 0.7378;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4683;
1000 სომხური დრამი - 5.4698.

ამინდი 5 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -4	დღე +10
მთიანი რაიონები -	ღამე -16	დღე +5
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -2	დღე +15
მთიანი რაიონები -	ღამე -11	დღე +6
თბილისი:	ღამე -3	დღე +8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE